# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 26 ივლისი 2008 №171 (3395) ფასი 50 თეთრი




ძველი ფოტო ახალი მომავლისთვის

# ჰექტორ კუპერის მუშა მდგომარეობა საქართველოსთვის



მურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# კუპერი უკვე გზაშია

## კონტრაქტიც დღეს-ხვალ იქნება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ექტორ რაულ კუპერის სახელზე ბილეთი უკვე დაჯავშნა. არგენტინელი მწვრთნელი თბილისში ორშაბათს გამთენიისას ჩამოვა, ქართულ საფეხბურთო ინფრასტრუქტურას გაეცნობა და, სავარაუდოდ, უკან ფედერაციასთან კონტრაქტგაფორმებული დაბრუნდება. დიახ, ექტორ რაულ კუპერის საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია და ამ საქმის ოფიციალურად დასრულებას მხოლოდ ფედერაციის ალმასკომის თანხმობაღა სჭირდება...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

— დიახ, ექტორ რაულ კუპერთან უკვე ყველაფერზე მორიგებულნი ვართ — გვითხრა ფედერაციის გენმდივანმა *უჩა უგულავამ*, რომელიც მადრიდიდან გუშინ დაბრუნდა და კუპერთან საუბრის შემდეგ ასეთი ამბავი ჩამოიტანა — არგენტინელი მწვრთნელი თანახმაა, ჩაიბაროს საქართველოს ნაკრები. ჩათვალეთ, რომ კუპერი ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელობის სრულუფლებიანი კანდიდატია...

— 28 ივლისის ალმასკომიც ალბათ სწორედ მის კანდიდატურას დაამტკიცებს...

— ფედერაციის ალმასკომის სხდომა 28 ივლისს ყველა შემთხვევაში კი შედგება, მაგრამ შესაძლოა, მწვრთნელის საკითხის განხილვამ ერთი-ორი დღით გადაიწიოს.

— თავად კუპერი როდის ჩამოვა?

— ორშაბათს თბილისში იქნება.

— ის მარტო ჩამოვა?

— არა, თავის აგენტთან ერთად.

— მოლაპარაკებების ფინანსურ მხარეს ვერ გაგვიმხელთ?

— კონკრეტულ თანხას ახლა ვერ დაგისახელებთ, თუმცა გეტყვით, რომ კუპერი ჩვენს წინადადებას დათანხმდა და ფინანსურ საკითხებზე ბევრი არც გვილაპარაკია. მასთან თუ კონტრაქტი გავაფორმეთ, ცხადია, იქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გუნდის დაკავებული ადგილის მიხედვით საბონუსო სისტემაც იქნება გათვალისწინებული.

— მწვრთნელად კუპერის დანიშვნის შემთხვევაში ის თავის ასისტენტებს ჩამოიყვანს?

— მისი თანაშემწე აუცილებლად ქართველიც იქნება და ჩამოიყვანს კიდეც.

*უჩა უგულავასთან ერთად მადრიდში ფიფას აგენტი აკა ტონიაც იმყოფებოდა. ფეხბურთის ფედერაცია კუპერს სწორედ ამ აგენტის ხელშეწყობით დაუკავშირდა და, ცხადია, მწვრთნელთან საბოლოო მოლაპარაკებებს ტონიაც ესწრებოდა...*

— თავდაპირველად ვიტყვი, რომ კუპერთან და მის აგენტთან ჩვენი მადრიდული ვიზიტი მოლაპარაკებების საბოლოო სტადია უფროა, ვიდრე საუბრის გაგრძელება. კუპერთან საქმე კარგა ხნის წინ დავიჭირეთ და მადრიდში დეტალების შესათანხმებლად ვიყავით. ყველაფერი წარმატებით დასრულდა, ყველა დეტალზე შევთანხმდით და ახლა კუპერის თბილისში ჩამოსვლას ველით. ორშაბათს ის აქ იქნება.

— მოლაპარაკებებისას რაიმე პრობლემები იყო?

— ბევრიც არაფერი. კუპერმა იცოდა საქართველო, იცოდა, რომელი ქვეყნიდან ვიყავით და ჩვენს წინადადებაზეც სიამოვნებით წამოვიდა. კუპერი მართლაც ძლიერი და ავტორიტეტული მწვრთნელია და, ცხადია, საქართველოს გარდა კიდევ ბევრი წინადადება ჰქონდა. მას ევროპული ფეხბურთის გრანდებიდან უკავშირდებოდნენ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებულ თანხაზე გაცილებით მეტს სთავაზობდნენ, მაგრამ... კუპერი საკმაოდ აზარტული მწვრთნელია და სანაკრებო წარმატება სურს. ამიტომაც დათანხმდა ის ჩვენს წინადადებას.

— მოკლედ, კუპერთან უკვე ყველაფერი მოგვარებულია და ორშაბათს მასთან კონტრაქტის გაფორმებას უნდა ველოდოთ?

— დიახ, კუპერთან და მის აგენტთან უკვე აბსოლუტურად ყველაფერზე მორიგებულნი ვართ და მხოლოდ კონტრაქტის გაფორმება დარჩა, რაც ფეხბურთის ფედერაციის და მისი ალმასკომის საქმეა.

**ქოჩა ინასარიძე**



### გერმანია

რეგიონალლიგა. I ტური

ერფურტი 0:1 დინამო

### ავსტრია

ბუნდესლიგა. IV ტური

ლინცერი 3:2 კერნტენი

I დივიზიონი
III ტური

ავსტრია (ლ) 1:2 ზალცბურგი (მ)

ავსტრია (მ) 1:2 ლეობენი

გრიოდიგი 2:1 ადმირა

ვიოკლაბრუკი 4:1 გრატკორნი

ნოიშტადტი 1:0 ლუშტენაუ

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. I ტური

გოსაუ 2:0 ვოლენი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. I ტური

კაპოშვარი 3:1 მტკ

### სლოვაკეთი

I ლიგა. II ტური

დუნაისკა სტრედა 3:0 ტრნავა

### რუსეთი

პრემიერლიგა
XV ტური

ხიმკი 2:0 ნალჩიკი

### უკრაინა

ვიშა ლიგა
II ტური

დნიპრო 1:3 დინამო

### ირლანდია

პრემიერლიგა
XX ტური

ბოჰემიანსი 2:0 დუბლინი

გალვეი 0:4 დერი

შემროკი 1:0 სლიგო

### ისლანდია

თასის მეოთხედფინალი

ჰაუკარი 1:0დ.დ.(0:0) ფილკირი

### ბრაზილია

სერია A
XIV ტური

ფიგეირენსე 1:7 გრემიო

პალმეირასი 4:2 სანტოსი

სპორტი რესიფე 1:0 ატლ. პარანენსე

### ამხანაგური მატჩები

სელტიკი 0:1 კარდიფი

ინგოლშტადტი 0:0 ბურსა

ფერლი 2:0 ალენი

MLS-ს ვარსკვლავები 3:2 ვესტ ჰემი

ლიტექსი 2:1 მ. ფეთაჰ თიკვა

ჩერნო მორე 1:1 პაფოსი

ამიენი 2:0 ზულტე-ვარეგემი

ჰანოვერი 2:2 უიგანი

ნიურნბერგი : პლიმუთი გადაიდო

მალიორკა 0:1 ვოლფსბურგი

დენ ჰააგი 2:0 როზენდალი

კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰართსი

ლილი 3:0 რუზელარე

მაინცი 2:2 რასინგი

ოუდ ევერლე 1:4 გენკი

სპარტა (რ) 0:0 კორტრაიკი

სუონსი 0:4 ესპანიოლი

როჩდეილი 0:0 ბოლტონი

ვეიმუთი 3:3 ბრისტოლი

ნოტინგემი 1:1 ევერტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესტაფონი უეფამდე გურიას შეუამხანაგდა




**რამდენიმე** დღის წინ „ზესტაფონს“ ბორჯომში ახალციხის „მესხეთთან“ ტესტ-მატჩი რომ ჩაეშალა, გეცოდინებათ. თუმც იმერლებმა უეფას თასის საპასუხო მატჩამდე სპარინგ-პარტნიორი მაინც გამოძებნეს და გუშინ ზესტაფონში პირველლიგელ ლანჩხუთის „გურიას“ 4:1 სძლიეს.

ცნობისთვის: „გურიას“ ავთანდილ ნარიაშვილი წვრთნის, რომელიც რამდენიმე წელი თემურ მახარაძის თანაშემწედ მუშაობდა და ახლახან დაუბრუნდა მშობლიურ ლანჩხუთს.

„ზესტაფონი“ ირაკლი ძარიამ დააწინაურა, თუმც გურულებმა მალევე შეძლეს გათანაბრება — გიგა კვერენჩხილაძემ პენალტი შეაგდო. ტაიმის მიწურულს ბექა გოცირიძე აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და გატანა აღარ გასჭირვებია. მეორე ნახევრის დასაწყისში გოცირიძემ დუბლი გააზერხა — ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი. შეხვედრის მიწურულს კი უბერებელმა ზურაბ იონანიძემ გამოიჩინა გოლის ალღო და 4:1.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

***ზესტაფონი:*** *რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე (მაკარიანი 52), თოდუა (ზ. ლობჟანიძე 52), სანტოსი (ფრიდოლინი 46), ვიეირა (ნ. კვასხვაძე 37), დაუშვილი, ძარია (გორგიაშვილი 59), რ. ონიანი (შ. ღონღაძე 46), ჩასემი (ლომაშვილი 55), გელაშვილი (იონანიძე 56), ბ. გოცირიძე (ყონატასი 72).*

***გურია:*** *გოგუაძე, ქურიძე, გოგიბერიძე, წილოსანი, შ. კუკულაძე, კილაძე, მ. კოტრიკაძე, ეგოიძე, ტ. კუკულაძე, კვერენჩხილაძე, ურუშაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ჩხაიძე, ჯორბენაძე, იმნაძე, შარაშენიძე, ხ. მგელაძე.*

**ნუგზარ ლოლაძე**

# ლოკომოტივმა საგურამო წარმატებით დატოვა

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ ურეკული შეკრება რომ მოიარა და თბილისში დაბრუნდა, უკვე გამცნეთ.

გუშინ თბილისელებმა საგურამოში ტესტ-მატჩი გამართეს „გაგრასთან“ და 5:0 იმარჯვეს.

პირველი ნახევარი „ლოკომოტივმა“ დავით ჩაგელიშვილის გოლით მოიგო, მეორე ნახევარში რატი ალექსიძემ გაზარდა სხვაობა, მერე ისევ ჩაგელიშვილის დრო დადგა, მან კიდევ ორჯერ დაამწუხრა გაგრელები და ჰეთ თრიქიც მიითვალა, შეხვედრის ბოლო გოლი კი გიორგი კახელიშვილის აქტიურობას მოჰყვა — მისი ჩაწოდებული გაგრელ ყიფიანს მოხვდა და ავტოგოლიც გავიდა.

***ლოკომოტივი:*** *ბათიაშვილი, გუშარაშვილი, ფარულავა, სარალიძე, დ. ფოფხაძე, ზ. ჩხეტიანი, ბარბაქაძე (ბუდალაშვილი 65), კაჭახიძე (დ. ჩაგელიშვილი 30), კახელიშვილი (შალიკაშვილი 80), გ. ჭელიძე, ალექსიძე.*

***გაგრა:*** *რ. თევდორაძე, ქაჯაია, მგელაძე, გ. კვანტალიანი, ა. ტეტუნაშვილი, გ. გაბედავა, ხელაძე, შარიქაძე, ზ. დათუნაშვილი, კორიფაძე, ზ. მეტრეველი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გლუნჩაძე, ლალიანი, გაბუნია, ჩხაიძე, აბაშიძე, გ. ყიფიანი.*

„გაგრა“ 28 ივლისს ახალციხის „მესხეთთან“ გამართავს ტესტ-მატჩს.

ტრავმების გამო არ იყვნენ ირაკლი ჩირიკაშვილი და ირაკლი სამხარაძე — ისინი ხვალიდან განაახლებენ ვარჯიშს, ვიტალი დარასელია კი თასის მატჩებში ვერ დაეხმარება გუნდს. მწვრთნელ ზაზა ზამთარაძის თქმით, დარასელია ჩემპიონატის დასაწყისისთვის გამოჯამრთელდება.

„ლოკომოტივი“ ხვალ თბილისის „დინამო 2“-თან გამართავს ამხანაგურ მატჩს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# მესხეთმა გონჩაროვის გოლი ნახა

**ახალციხის** „მესხეთმა“ ტესტ-მატჩი გამართა „ბორჯომთან“ და 2:1 მოუგო.

მოგეხსენებათ, ახლახან ახალციხელებმა რამდენიმე ფეხბურთელი შეიმატეს, მათ შორის, ფორვარდი ბორის გონჩაროვიც, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა, პირველი ბურთი კი დავით ინასარიძის ანგარიშზეა.

ახალციხელთა შემადგენლობა ასეთი გახლდათ: *სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლექიშვილი, თედიაშვილი, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი, ლ. კაშაკიძე, მ. თაყაძე, ინასარიძე, გონჩაროვი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, გ. სუდაძე, ბეჟანიძე, ქორორაშვილი, სამადაშვილი.*

დღეს „მესხეთი“ მცხეთას ეწვევა და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ გაეჯიბრება ამხანაგურად.

**ლუკა თალაკვაძე**

# იტალიამ დროც თქვა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ჯერ კიდევ მწვრთნელის ძებნაშია, მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ჯგუფში ჩვენმა მეტოქემ იტალიის ნაკრებმა კი უკვე დრო დაგვითქვა.

10 სექტემბერს აპენინელები უდინეში გვიმასპინძლებენ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის დაწყების დროდ 20:50 საათი თქვა, ანუ ჩვენი დროით, მატჩი 22:50 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ იტალიაში ჩასვლამდე, 6 სექტემბერს ჩვენები ეროვნულ სტადიონზე ირლანდიას უმასპინძლებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შეყილაძემ საქართველო აზერბაიჯანში წაიყვანა

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები 28 და 30 ივლისს აზერბაიჯანელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს.

გელა შეყილაძეს გუნდი ლაგოდეხში ჰყავს შეკრებაზე და ამ მატჩებისთვის იქ ემზადება. დღეს დილით გუნდი ივარჯიშებს, ნაშუადღევს კი სამეზობლოში გაემგზავრება.

ამასობაში აზერბაიჯანელებმა ისია გაამზადეს, ვინც შეყილაძის სამწყოს დაუხვდება: *ელვინ ბენაილოვი, ტარლან გულიევი, ტურალ ისკანდეროვი, არაზ აბდულაევი, ამიტ გულამზადე, მირგუსეინ სეიდოვი, რაშად გაჯიზადე, აზერ მამედოვი, გარა გარაევი, მურად ისკენდერლი, რუსლან ტაგიზადე, ელნურ აბდულოვი, მურად გურბანოვი, რახმან გაჯიევი, მაგომედ გურბანოვი, ალექსეი გავრილიუკი, კირილ ბეჟენარი, ანდრეი პოპოვიჩი, ელტუნ იაგუბლუ.*

მატჩები სუმგაითში, „მეჰდი ჰუსეინზადეს“ სტადიონზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# თუ ვითამაშებთ, ჯგუფიდან გავალთ

**გუშინწინ გლდანში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები რუმინელ თანატოლებს გაეჯიბრა ამხანაგურად და 2:0 მოუგო. ქართველები მთელი მატჩის განმავლობაში თვალშისაცემ უპირატესობას ფლობდნენ. ჩვენებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო თავდამსხმელი მიხეილ როსტიაშვილი. მართალია, მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ სტუმრებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. ვიტჯორჯიელ როსტიაშვილს გუშინ გავესაუბრეთ...**

— ელოდით, რომ მატჩი ასე წარიმართებოდა?

— ყველა მობილიზებულნი ვიყავით და, რა თქმა უნდა, წარმატების იმედი გვქონდა. ვფიქრობ, რუმინელებს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— ამ გუნდის მატჩი თუ გქონდათ ნანახი?

— არა, მაგრამ მწვრთნელებმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნეს და შეხვედრაც ისე წარიმართა, როგორც გვინდოდა.

— ნამატჩევს მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ რა გითხრათ?

— ბუნებრივია, შეცდომებზე მიგვითითა, მერე კი ყველას მადლობა გადაგვიხადა და კიდევ უნდა მოვუმატოთო, გვითხრა.

— ხვალ გორში კიდევ ერთხელ შეხვდებით რუმინელებს...

— ისინი შეეცდებიან, სხვანაირად ითამაშონ, მაგრამ ჩვენ მზადყოფნაში უნდა შევხვდეთ და კიდევ ერთხელ გავახაროთ ქართველი ხალხი.

— ნოემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გელით. ჩვენი მეტოქეები ჩეხები, დანიელები და კვიპროსელები იქნებიან. როგორ ფიქრობ, წარმატების შანსი არის?

— ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

— გასულ სეზონში თბილისის „ვიტ ჯორჯია 2“-ში ირიცხებოდი. ახლახან ძირითადში გადაგიყვანეს და გუნდს უკრაინულ შეკრებაზეც ახლდი...

— მიხარია, რომ პირველ გუნდში გადამიყვანეს. სლოვაკეთში „სპარტაკთან“ უეფას თასის მატჩზეც უნდა გავყოლოდი გუნდს, მაგრამ ნაკრებში გამომიძახეს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# უეფას თასის 8 ქართველი

**ქართველი** მსაჯები უეფას თასის პირველი ეტაპის ორ საპასუხო შეხვედრას მოემსახურებიან სლოვენიასა და ესტონეთში.

31 ივლისს სლოვენიური „ლუბლიანი“ ჩერნოგორიულ „ზეტას“ უმასპინძლებს. ამ შეხვედრაზე მივლინებულნი არიან: არბიტრი გიორგი ვადაჭკორია; ასისტენტები, ლევან მიქელაძე და მამუკა ელიკაშვილი და მეოთხე მსაჯი ლევან კვარაცხელია.

ამავე დღეს ესტონური „ფლორა“ შვედურ „იურგორდენს“ დაუხვდება. ამ შეხვედრას მოემსახურებიან: არბიტრი ლაშა სილაგავა; ასისტენტები, გურამ ჩიგოგიძე და ზურაბ ჯვარიძე და მეოთხე მსაჯი დავით ხარიტონაშვილი.

**ბაჩა შალამბერიძე**

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი) დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხადაძის გამარჯვება ცხადაძის ტყუპით



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**მშვენივრად** დაიწყეს მოსამზადებელი ეტაპის მეორე შეკრება მამა-შვილმა ცხადაძეებმა.

კახა ცხადაძის გაწვრთნილი აზერბაიჯანული „სტანდარდი" ამხანაგურ მატჩში სლოვაკურ „სპარტაკს" გაეჯიბრა და 4:0 მოუგო.

სლოვაკების კარში ტყუპი გოლი ბაჩანა ცხადაძემ გაიტანა.

ბაჩანას ჯერ „სტანდარდთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია, თუმცა ამ გოლების შემდეგ საქმე ალბათ გაცილებით გაუადვილდება.

ბაჩანა ცხადაძე აზერბაიჯანში წასვლამდე ბოლნისის „სიონში", თბილისის „ამერისა" და თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სანდრო იაშვილი ბელარუსში ისინჯება

**2006-07 წლის** სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, თავდამსხმელი სანდრო იაშვილი ბელარუსშია და იქაურ მინსკის „დინამოში" ისინჯება.

ეს ცნობა იქაურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს.

შეგახსენებთ, რომ შარშან იაშვილი თბილისის „დინამოდან" შვეიცარიულ „თუნში" გადავიდა და 19 მატჩში მხოლოდ ერთი გოლი იკმარა, გუნდი კი სუპერლიგიდან გავარდა და ქართველმა ფეხბურთელმაც იქაურობა დატოვა.

როგორც ჩანს, იაშვილი ახალ ნავსაყუდელს ბელარუსში ეძებს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კანკავა და კობახიძე დუბლებით დაბრუნდნენ

**როგორც იქნა**, ფეხბურთს დაუბრუნდნენ უკრაინული „დნიპროს" ქართველები, ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე.

ჩვენებურებმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ოფიციალურ მატჩში პირველად ითამაშეს, თუმცა მხოლოდ დუბლშემადგენლობაში.

„დნიპროს" დუბლშემადგენლობა შინ კიევის „დინამოს" დაუხვდა და 1:2 წააგო.

კანკავა და კობახიძე სრულად გაისარჯნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ახლა დახვდნენ ათენელები ჟილბერტო სილვას

# უეფას მსაჯები და პანას ვარჯიში

**ჩემპიონთა** ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამო" 30 ივლისს ათენში „სპიროს ლუისის" სტადიონზე „პანათინაიკოსს" შეხვდება. საპასუხო შეხვედრა 6 აგვისტოს თბილისში გაიმართება.

უეფამ უკვე დაადგინა მსაჯები, რომლებიც ამ მატჩებს მოემსახურებიან.

ათენურ შეხვედრას პორტუგალიელები განსჯიან ბრუნო მიგელ დუარტეს თამადობით, რომელსაც ჟოზე კარდინალი და სერჟიო დავიდ გოუვეია დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი პაულუ ჟორჟე ბატისტაა.

უეფას დელეგატი ლუქსემბურგელია — ლუსიენ კაუსერი, მსაჯების დამკვირვებელი კი ბელგიელი — დეონ ბელინგსი.

თბილისში რუმინელი მსაჯები გვეწვევიან. მათი ოთხეული ასეთია: პაველ კრისტიან ბალაუა, ზოლტან ჟეკელი, მიკლოშ იშტვან ნაგუ და იშტვან კოვაჩი.

უეფას დელეგატი სომეხი არმენ მინასიანია, მსაჯების დამკვირვებელი — ავსტრიელ იოჰან ჰანტშკი.

„დინამოსთან" მატჩამდე „პანათინაიკოსმა" ამხანაგურად გაინავარდა და ბელგიურ „შარლერუას" შავი დღე აყარა — 5:1.

ბენილუქსელების დაბომბვა კარაგუნისმა მე-7 წუთიდან დაიწყო, რომელსაც მხარი სპირიეგამ, სალპიგიდისმა, ვინტრამ და ნინისმა აუბეს.

„მწვანეების" შემადგენლობაში არ უთამაშია ჟილბერტო სილვას. სამაგიეროდ, მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ მეორე ბრაზილიელი, გაბრიელი ნახა საქმეში.

„პანათინაიკოსის" უპირატესობა რომ აშკარა იყო, ანგარიშიდანაც ჩანს, ჩვენ კი მათ შემადგენლობას გაგაცნობთ: *გალინოვიჩი, სპოროპულოსი, სარტემი, ვინტრა, მატოსი (რუკავინა 71), გაბრიელი (ნილსონი 78), სიმაო, კლეიტონი (სალპიგიდისი 67), ივანჩიცი (ხრისტოდოპულოსი 62), კარაგუნისი (ნინისი 46), მანციოსი (სიონტისი 77).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონმა დიორი შეაფასა

**31 ივლისს** ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩი, რომელშიც „ზესტაფონი" უნგრულ „დიორ ეტოს" უმასპინძლებს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები 28 ივლისიდან სტადიონის სალაროებში გაიყიდება. ფასი 7, 10 და 12 ლარია.

ჟურნალისტთა აკრედიტაცია კი იწარმოებს 29 ივლისის 17.00 საათამდე.




**ზესტაფონის სტადიონზე ინდივიდუალური სკამების განლაგების სქემა**
**22.07.08წ.**




შენიშვნა: ალმოსავლეთ ტრიბუნის მე-9 რიგის 15-31-45-61-75 2-15-16-31-45-61 ადგილებზე მაყურებლის დაჯდომა შეუძლებელია (დგას გადახურვის საყრდენი სვეტები).

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

# ფერგიუსონი ფაქსმა გადარია



„მანჩესტერ იუნაიტედი“ სამხრეთაფრიკულ დურბანშია ტურნეზე და „სპორტს მეილის“ ჟურნალისტი იენ ლადიმანი ალექს ფერგიუსონს ესტუმრა. შოტლანდიელმა მწვრთნელმა რუნიზე, ფაქსით მიღებულ კალენდარზე და კეირუშის წასვლაზე ილაპარაკა

**— ტიტულის მოგებაზე რთული მისი შენარჩუნებაა. პრემიერლიგას ზედიზედ მეორედ მოიგებთ?**

— გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ და მჯერა, რომ წინსვლა გაგრძელდება. ზოგიერთ კომპონენტში კი უდიდესი პროგრესი გვექნება. დიდი პერსპექტივა აქვთ ანდერსონს, ნანის, რუნის და ტევესს და ეს მაიმედებს.

სხვებმაც უნდა მოუმატონ. მაგალითად, მაიკლ კარიკმა, რომელიც ხშირად საკუთარ თავზე იღებს თამაშს, და ოუენ ჰარგრივსმა, ვისაც ტრავმა ბოლომდე ჯერ არ მოუშუშებია. ალბათ მალე გამოკეთდება და სრული დატვირთვით ითამაშებს. ჰარგრივსი ჩვენთვის ძვირფასი ფეხბურთელია.

**— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუნი მუდამ „მანჩესტერის“ ფეხბურთელი იყო. გავიწყდება, რომ ჯერ 22 წლისაა. რა სჭირდება, უკეთესი რომ გახდეს?**

— მისი როლი ზუსტად უნდა განვსაზღვროთ. გასულ სეზონში გუნდის ინტერესებს ემსხვერპლა და თავის პოზიციაზე ხშირად ვერ თამაშობდა. ხან ფლანგებზე იყო, ხან ნახევარდაცვის ცენტრში და ხან უკანდაწეული ფორვარდის ადგილზე.

ჩემპიონთა ლიგის ფინალის პირველ ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ მეორეში, როცა „ჩელსი“ ბურთს აკონტროლებდა, სამი ნახევარმცველის დაყენება მომიწია და მაშინ რუნი ველარაფერს აკეთებდა. აშკარად გაუჭირდა.

**— ბოლო ორ წელიწადში რუნი ბევრი გოლით ვერ გამოირჩა. ამაზე პასუხისმგებელი თქვენც ხართ?**

— ალბათ ჩემი ბრალიცაა. გუნდის ინტერესებს პირადულზე წინ აყენებდა და არასოდეს არ წუწუნებდა, რაც მის ღირსებაზე მეტყველებს. ის კიდევ გაიტანს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება. გასულ სეზონში ზედიზედ 7 მატჩში ვერ შეაგდო, მაგრამ მერე „ასტონ ვილასთან“ დუბლი შეასრულა. ასე გააგრძელებდა, მისთვის პოზიცია ხშირად რომ არ მეცვალა.

**— რომელი პოზიცია უხდება?**

— ცენტრფორვარდობა ან უკან დაწეული თავდამსხმელის ადგილი. ორივეგან ძალიან სასარგებლოა. კარგი იქნებოდა, რომელიმე გამოცდილი ფორვარდის გვერდით რომ ეთამაშა.

ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის არასტაბილურობა დამახასიათებელია. 22 წლისა პიკს ვერ მიაღწევს, ისევე, როგორც 18 წლის სრულყოფილ მოთამაშეს ვერ იყიდი.

რუნის პოტენციალში 26 მილიონი გირვანქა გადავიხადეთ და ვიცით, რომ ყოველწლიურად მოუმატებს. ეს ფული სარფიანად დავაბანდეთ. ზოგ ფეხბურთელს ამორჩემებული აქვს პოზიცია და სხვა ადგილზე თამაში არ სურს, რუნი კი უპრეტენზიოა და სადაც ვეტყვი, იქ ითამაშებს.

**— კონკურენტ გუნდებზე რას იტყვით?**

— ჩამოსაწერი არცერთი არაა. მაგალითად, „არსენალმა“ გასული სეზონი საუცხოოდ დაიწყო და თებერვლამდე ლიდერობდა, მერე კი ტრავმების გამო ლამის ყველა ნახევარმცველი გამოაკლდა და ამიტომ საქმეები უკან წაუვიდა. ასე რომ არ მოხდარიყო, ვინ იცის, რა იქნებოდა...

**— რატომ გარბიან „არსენალიდან“ საუკეთესო მოთამაშეები?**

— ახალმა სტადიონმა ბევრი ფული წაიღო. კლუბს ალბათ ფინანსურად გაუჭირდა და ფეხბურთელების მადას ველარ აკმაყოფილებს.

**— სანამ ახალ სეზონზე ფიქრს დაიწყებთ, რამდენი დღით აძლევთ თავს შეზლონგზე არხეინად წამოწოლის უფლებას?**

— როცა სასტუმროში ახალი სეზონის კალენდარი ფაქსით მომივიდა და დავხედე, ვთქვი: „ეს რა არის?! დასაწყისი ესაა?! „პორტსმუთი“, „ლივერპული“, „ჩელსი“, „ნიუკასლი“!! ვინც კი ცხრილის ზედა ნაწილშია, პირველ წრეში ყველას სტუმრად ვეთამაშებით. „არსენალს“, „ევერტონს“, „ბლექბერნს“, „ასტონ ვილას“, „ტოტენჰემს“... რვა ურთულესი მატჩი გველის. შეიძლება, რომ პირველმა წრემ თითქმის მთელი სეზონის შედეგი განსაზღვროს? ამ მატჩებში ძალიან მაგარი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და კიდეც ვითამაშებთ.

**— კარლუშ კეირუშის წასვლის შემდეგ ვარჯიშების ჩატარება პირადად მოგიწევთ?**

— სავარჯიშო მოედანზე ყოველთვის ვიყავი და ამ მხრივ არაფერი არ შეიცვლება. კეირუში საქმის დიდებული მცოდნე და ორგანიზატორი იყო. მისი წასვლა დანაკლისია.

მეორე თანაშემწე მაიკ ფელანი სრულყოფილად ვერ გვეხმარებოდა სავარჯიშო პროცესში, რადგან შარშან მუხლი სტკიოდა. ახლა ტრავმა მოიშუშა და ჩემს გვერდით იქნება.

მე გადავწყვეტ, მოვიწვიო თუ არა კეირუშის შემცვლელი და კიდევ ერთი საკითხს — ვინ შემცვლის, როცა სადმე წასვლა მომიწევს.

**— კეირუშის შემცვლელი უცხოელი უნდა იყოს იმის გამო, რომ გასახდელში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ფეხბურთელები არიან?**

— შესაძლოა, რადგან პორტუგალიურად და ესპანურად მოსაუბრეები გვყავს. რაც ბოლო წლებში საწვრთნელ პროცესებში უკეთესობისკენ ცვლილებები მოხდა, კარლუშ კეირუშის დამსახურებაა. ახლა ერთის ნაცვლად სამი ექიმი გვყავს და საერთოდ, აქ, დურბანში, სამწვრთნელო შტაბის 16 წევრია ჩამოსული.

**— კეირუში ადრეც წასულა („რეალში“) და ისევ დაბრუნებულა. მისთვის „მანჩესტერის“ კარი ყოველთვის ღია იქნება?**

— პორტუგალიის ნაკრებთან ოთხწლიანი კონტრაქტი აქვს და არა მგონია, კიდევ დაბრუნდეს.

**— ერთი ნაბიჯიღა გაშორებთ „ლივერპულის“ რეკორდამდე, რომელიც ინგლისის ჩემპიონი 18-ჯერ გამხდარა. გმატებდათ თუ არა ეს მოტივაციას ბოლო წლების განმავლობაში?**

— არა მგონია, რომ ეს ჩემი[...] მოტივაცია იყოს. იმისთვის არ ვ[...] ბდით ტიტულებს, რომ მაინცდა[...] ინც „ლივერპულს“ დავწეოდით. [...] რიერის დასაწყისში ასეთი მიზა[...] მართლაც მქონდა. „ლივერპულს“ როცა ვეთამაშებით, რატომღაც, ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა მეუფლება და მუდამ ასე იქნება. ვფიქრობ, რომ ამ სეზონშიც პირველ ოთხეული უცვლელი იქნება და ვეჭვობ, ვინმე ჩაგვეჩხიროს.

**— რა თქმა უნდა, ვერავინ გაგიწევთ კონკურენციას, თუ კონკურენტებისგან საუკეთესო ფეხბურთელების ყიდვას განაგრძობთ! ახლა „ტოტენჰემიდან“ ბერბატოვის გადაბირებას ცდილობთ და ეს გუნდი როგორღა შეგეჯიბრებათ? „მანჩესტერ სიტის“ ახალ მწვრთნელზე რას ფიქრობთ?**

— მარკ ჰიუზი დროულად წავ[...] და „ბლექბერნიდან“, „სიტიმ“ კი სწ[...] რი არჩევანი გააკეთა. მარკმა „ბლ[...] ბერნში“ თავი ამოწურა და ახალ[...] მიზნები სჭირდება.

**— კლუბების უცხოელი მეპატრონეები, რომლებიც ასე მომრავლდნ[...] ბრიტანეთში, სულ უფრო და უფრ[...] ჩაერევიან საკლუბო საქმეებში?**

— ასეთი ტენდენცია შეინიშნებ[...] მაგალითად, „ჰართსის“ პატრონ[...] ლამის თვითონაა მწვრთნე[...]

**— გასაიდუმლოებული ფორვა[...] რდის ყიდვას რომ აპირებდით, [...] გორაა ამ მხრივ საქმე?**

— დავილალეთ მისი დ[...]

**— კრიშტიანუ რონალდუზე [...] იტყვით?**

— ვერაფერს.

# მარტო ბალერი დასაჯეს



**უკვე** რამდენჯერმე გაუწყეთ, რომ „ლივორნოსა“ და „ატალანტას“ რამდენიმე მოთამაშეს გასულ სეზონში ამ კლუბების ურთიერთშეხვედრების ჩაწყობაში ბრალს სდებენ.

პროკურორი სტეფანო პალაცი კლუბებისთვის 6-6 ქულის დაკლებას და მათი მაშინდელი კაპიტნების, დავიდე ბალერისა და ჯანპაოლო ბელინის ფეხბურთიდან სამწლინახევრით მოკვეთას ითხოვდა. ხოლო ემანუელე და ანტონიო ფილიპინებისა და ალესანდრო გრანდონისთვის — ხუთთვიან დისკვალიფიკაციას.

სადისციპლინო კომიტეტმა მხოლოდ „ლივორნოს“ ექსკაპიტნის ბალერის დასჯა ჩათვალა საჭიროდ — მან ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და თითქმის 30 ათასი ევროთი დაჯარიმდა.

„აშკარა იყო, რომ „ლივორნოს“ ბევრ ფეხბურთელს ძალიან უნდოდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა და ბოლომდე იხარჯებოდნენ. ატალანტელებზე კი ამას ვერ ვიტყვით, მათ საფრთხე უკვე არ ემუქრებოდათ და უმოტივაციოდ ბურთაობდნენ. გვაქვს უტყუარი საბუთები, რომლებიც ადასტურებს, რომ ბალერისა და ბელინის შორის შეთანხმება იყო. თუმცა ბალერი უფრო დამნაშავეა, რადგან კანონი პირველად მან დაარღვია“ — ნათქვამია დისციპლინართა განცხადებაში.

ბალერი ამჟამად სერია C2-ის ბინადარი „კომოს“ წევრია და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

„ცხადია, განაჩენს გავასაჩივრებ. ამას ნამდვილად არ ვიმსახურებ“ — აღნიშნა ბალერიმ.

**გიორგი ძაძაძაძე**



# მექსესს ქალიშვილი მოსტაცეს

**იტალიური** „რომას“ მცველმა ფილიპ მექსესმა დიდი შიში ჭამა. პარასკევს ღამე მას შეიარაღებული ყაჩაღები დაესხნენ თავს და ფრანგის მანქანა გაიტაცეს მისი პატარა ქალიშვილითურთ.

მექსესი აქსა-კაზალ პალოკოში თავის სახლში ბრუნდებოდა, როცა როცა მისმა მეუღლემ კარლამ და ოთხი წლის ვაჟმა ენცომ მანქანა დატოვეს, ფეხბურთელთან ორი შეიარაღებული პიროვნება მივარდა.

მცირე შეხლა-შემოხლის მერე, ბანდიტებმა მექსესის კუთვნილი „მერსედესი“ გაიტაცეს, რომლის უკანა სავარძელზეც 2 წლის ევას ეძინა.

26 წლის ფეხბურთელმა მომხდარის შესახებ მყისვე პოლიციას აცნობა და სამართალდამცავებმაც უმალ ძებნა დაიწყეს. საბედნიეროდ, მიტოვებულ მანქანას საკმაოდ მალე მიაგნეს, რომელშიდაც ევა ხელშეუხებელი დახვდათ.

**გიორგი ძაძაძაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნევილი ევერტონში რჩება

**ფილ ნევილი** „ევერტონში“ 2012 წლამდე დარჩება. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა მერსისაიდელებთან ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. გასული სეზონი ფილისთვის საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა, „ლურჯების“ კაპიტანმა ყველა ტურნირის ჩათვლით 38 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

## ნგოგმა ინგლისელები მოხიბლა

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ დავიდ ნგოგთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნგოგი საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება, თუმცა გასული სეზონი მისთვის არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. პსჟ-ის შემადგენლობაში 18 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ შეძლო გოლის გატანა.

ინგლისელი სკაუტები მან საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლით მოხიბლა, როცა ინგლისელ თანატოლებს ამხანაგურ შეხვედრაში ორი ლამაზი გოლი გაუტანა.

## არშავინს ლონდონში უნდა

**როგორც** ანდრეი არშავინის აგენტმა განაცხადა, ფეხბურთელს ლონდონის „ტოტენჰემში“ სურს გადასვლა „ბარსელონასთან“ მიმდინარე მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩაიშალა და ახლა ინგლისური კლუბის ვარიანტი სავსებით რეალურად გამოიყურება.

რაც შეეხება „დეზებს“, მათ ჯერ არც აღიარეს და არც უარყვეს, რომ „ზენიტის“ თავდამსხმელით არიან დაინტერესებულნი.

## რაფაელს არ უშვებენ

**გერმანულ** „ჰამბურგს“ არ სურს თავის ნახევარმცველ რაფაელ ვან დერ ვაარტის მადრიდის „რეალში“ გაშვება.

„სამეფო კლუბი“ ჰოლანდიელში 5 მილიონ გირვანქას ჩამოდის და თანხის გაზრდას არც აპირებს, რადგან რაფაელს ბუნდესლიგის კლუბთან კონტრაქტის ვადა მომავალ წელს ეწურება.

## მანიშემ მოიბოდიშა

**პორტუგალიის** ნაკრების ნახევარმცველმა მანიშემ ბოდიში მოუხადა მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობას და ამ კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა. იანვარში ფეხბურთელს მადრიდელთა სამწვრთნელო შტაბთან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც მილანის „ინტერში“ გაანათხოვრეს.

„შეცდომა დავუშვი, უპატივცემულოდ მოვეპყარი მთავარ მწვრთნელსა და გუნდის სხვა ფეხბურთელებს, რასაც გულწრფელად ვნანობ. ძალიან მინდა მადრიდში დარჩენა“ — თქვა მანიშემ.

## რაიტ-ფილიპსი პომპეიში?

**შონ რაიტ-ფილიპსი** შესაძლოა „პორტსმუთში“ გადავიდეს, რაც „პომპეისთვის“ ამ ზაფხულს უკვე მეორე ძვირადღირებული ტრანსფერი იქნება პიტერ კრაუჩის შემდეგ. ტრანსფერის თანხა სავარაუდოდ 11 მილიონ გირვანქას შეადგენს.

ამჟამად რაიტ-ფილიპსი „ჩელსისთან“ ერთად აზიურ ტურნეში იმყოფება და ყველაფერი მისი დასრულების შემდეგ გადაწყდება.

## სიტის ვაგნერი მოუნდა

**ინგლისში** ცსკა-ს ფეხბურთელებზე დიდი მოთხოვნაა. ბრაზილიელი ჟოს „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შემდეგ „არმიელთა“ მეორე ბრაზილიელი ფორვარდით, ვაგნერ ლავით „ევერტონი“ დაინტერესდა.

„ლურჯები“ მზად არიან, ბრაზილიელის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გაიღონ. ტრანსფერის განხორციელებას ხელს უშლის მოსკოველებისა და თავად ფეხბურთელის პოზიცია, რომელთაც არ სურთ ერთმანეთთან განშორება.

## ლეო, დროა დავაჟკაცდე!

**დიეგო მარადონამ** უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა ლიონელი მესის, რომელსაც „ბარსელონა“ პეკინის ოლიმპიადაზე არ უშვებს.

„მესიმ „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასთან კამათისას თავისი სურვილი უფრო მკვეთრად უნდა გამოხატოს. მისი დავაჟკაცების დრო დადგა“ — აღნიშნა არგენტინელთა ცოცხალმა ლეგენდამ.

## ჰიუზი მეკარეს ეძებს

**„მანჩესტერ სიტის“** მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი მესამე მეკარის ყიდვას აპირებს შემადგენლობის გასაძლიერებლად. მას შემდეგ, რაც გამოცდილმა ანდრეს ისაკსონმა „სიტი“ დატოვა, კლუბში მხოლოდ ახალგაზრდა მეკარეები, ჯო ჰარტი და პეტერ შმაიხელის ვაჟი კასპერ შმაიხელი დარჩნენ.

„ასეთი შესაძლებლობა არსებობს. ჩვენ გამოცდილმა გოლკიპერმა დაგვტოვა და იმედია, საჭირო კანდიდატურას ვიპოვით. ამჟამად კლუბში ორი ნიჭიერი ახალგაზრდა მეკარე გვყავს, მაგრამ სრული სიმშვიდისთვის უფრო გამოცდილის შეძენაც არ გვაწყენდა“ — განაცხადა „ქალაქელთა“ დამრიგებელმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# ვაცალოთ დიდ ფილს!



ლუიშ ფელიპე სკოლარი და დეკუ

**„ბარსელონადან“** „ჩელსიში“ გადაბარგებულმა დეკუმ თქვა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი.

„პრემიერლიგა ჩემთვის ახალი სამყაროა — განაცხადა პორტუგალიელმა — ძლიერი გუნდი გვყავს და თანაგუნდელებისგან რაღაცას აქაც ვისწავლი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 30-ის ვარ.

მიხარია, „ჩელსის“ ფეხბურთელი რომ გავხდი და ისევ ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდში ვითამაშებ. ვიმედოვნებ, ორივე დიდ სარგებლობას მოვუტანთ ამ კლუბს.

სკოლარი დიდებული მწვრთნელია. გარდა იმისა, რომ ტაქტიკურ სიახლეებს ეძებს, ფეხბურთელებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და ყველას პატივისცემით ეპყრობა.

პირფერობა არ სჩვევია. მომთხოვნია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას რჩევების მოსმენა არ ეთაკილება. თუ რაიმე შესაცვლელია, ნებისმიერ საკითხზე აზრს მოისმენს და გუნდისთვის სასიკეთო ნაბიჯს გადადგამს.

დარწმუნებული ვარ, ქომაგებს მალე შეუყვარდებათ. მაურინიუ და სკოლარი ძლიერი პიროვნებები არიან, მაგრამ სრულიად განსხვავებულნი. მათი შედარება არც შეიძლება. აცალეთ „დიდ ფილს“ საქმის კეთება და მერე განსაჯეთ.

ოთხშაბათს სკოლარის ხელში პირველი მატჩი არცთუ ურიგოდ ვითამაშეთ, შაბათს კი ალბათ უკეთესად გამოგვივა.

„ბარსელონას“ და „ჩელსის“ შედარებაც გამიჭირდება. ორივეში მსოფლიო დონის ფეხბურთელები არიან, მაგრამ „ჩელსის“ ერთი უპირატესობა აქვს — უფრო მეგობრული გუნდია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ დასვათ ქალი საჭესთან!

**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი დმიტრი სიჩოვი ავარიაში მოყვა. 24 წლის ფეხბურთელი დაზიანებებს გადაურჩა, მაგრამ მისი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ ვერა.

ინციდენტი მოსკოვის ცენტრში მოხდა. სიჩოვი ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ასევე „ტოიოტას“ მარკის ავტომობილით მოძრავ პიროვნებას, როგორც შემდეგ გაირკვა, ქალს შეეჯახა.

მავანი ქალბატონის ავტომობილმა გვარიანად იფრინა და შენობას შეეჯახა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. საბედნიეროდ, გოგონას დამცავი ღვედი ეკეთა და ამან უშველა.

გამოძიება დაწყებულია, დამნაშავის ვინაობა ჯერ არ დაუდგენიათ, ორივენი ამტკიცებენ მწვანეზე მივდიოდიო.

„ეს ჩემი მესამე ავარიაა — ამბობს სიჩოვი — წინა ორ შემთხვევაშიც ავარიაში დამნაშავე ქალი იყო. ამიტომ კატეგორიულად არ ვენდობი ქალებს საჭესთან. ძალიან გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ, კიდევ ორი ავტომობილი მყავს, მაგრამ ეს ჯიპი მათ შორის ყველაზე დიდი გახლდათ და მაინც მენანება“.



დმიტრი სიჩოვი

სიჩოვი ძალიან გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ვერ იცნეს: „იმ ქალმა ყვირილი დამიწყო. ცოტა ხანში მას „დამხმარე ბრიგადა“ შეემატა — ვიღაც ასაკოვანი ბიძები. სხვათა შორის, ვერც მათ მიცნეს. სამაგიეროდ, ერთმა გამვლელმა მოხუცმა ჩამჩურჩულა, ზაფხულში ეს უკვე მე-15 ავარიაა ამ გზაჯვარედინზეო. ნამდვილად არაფერი დამიშავებია და მოძრაობის წესები არ დამირღვევია“.

**კოკი კანდელაკი**

# აი, შენ ბურდისო და...



**იტალიური** პრესის ცნობით, „ინტერი“ ძალიან შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ „რომა“ ადრიან მუტუთია დაინტერესებული და მის ყიდვას ყველანაირად ცდილობს. გავრცელდა ინფორმაცია, „ნერაძური“ მზად არის, „ფიორენტინას“ ნიკოლას ბურდისო, რომელშიც 10 მილიონ ევროს ითხოვდა, თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდოს, ოღონდ „იებმა“ მუტუ „გლადიატორებში“ არ გაუშვან და მილანელთა უშუალო კონკურენტი არ გააძლიერონო.

ამ ვერსიას საფუძვლად ის უდევს, რომ „ფიორენტინას“ მართლაც სურდა ბურდისოს დამატება, მაგრამ არგენტინელ მცველში „ინტერმა“ ფლორენციელთა აზრით, ზედმეტად ბევრი მოითხოვეს. ახლა კი „ნერაძური“ ფასის დაწევით ცდილობს „იების“ მოთაფვლას.

ასეა თუ ისე, „ფიორენტინას“ უფროსობა კვლავ ირწმუნება, რუმინელი არსად არ მიდის, ჩვენთან რჩებაო. ბოლოს მსგავსი კომენტარი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ გააკეთა.

ყველაფერი უახლოეს რამდენიმე დღეში საბოლოოდ გაირკვევა, სანამ „იები“ მუტუს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშო განაცხადში შეიყვანენ. „რომა“ სწორედ ამ დრომდე ეცდება მის დასაკუთრებას და თუ არ გამოუვა, მერე სხვა კანდიდატზე გადაერთვება.

**გიორგი ძაძაგაძე**

# მაურინიუმ მოგებით დაიწყო



სულეი ალი მუნტარი

**მილანის** „ინტერმა“ მომავალი სეზონისთვის მზადება კარგად დაიწყო და „ალ ჰილალს“ ამხანაგურ მატჩში 1:0 მოუგო. შესაბამისად, ჟოზე მაურინიუს ნანატრი დებიუტი წარმატებული გამოუვიდა.

„ინტერმა“ მეორე ტაიმში მთლიანად შეცვლილი შემადგენლობით ითამაშა. მილანელებმა ეს შეხვედრა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩაატარეს. მატჩის ერთადერთი გოლი კი ნიკოლას ბურდისომ გაიტანა.

ადრიანოს გამოჩენას დიდი ინტერესით ელოდნენ. ბრაზილიაში სარეაბილიტაციო პერიოდის გავლის მერე, ფერზე მოსული ფორვარდი ფანებს ძველებურად ათამაშებას ჰპირდება. „იმპერატორმა“ „ალ ჰილალთან“ 45 წუთი ითამაშა. „ნერაძურის“ ტაქტიკა 4-3-3 იყო. პირველ ტაიმში ბრაზილიელ ფორვარდთან ერთად წინ მარიო ბალოტელი და ლუიშ ფიგუ იყვნენ.

„თავს კარგად ვგრძნობ და მიხარია, რომ გუნდს დავუბრუნდი. ნელნელა, მაგრამ ნამდვილად ვიბრუნებ სასურველ ფორმას და მალე 100 პროცენტით მზად ვიქნები. 3 თავდამსხმელით თამაში კარგია, რადგან მეტი სივრცე და დახმარება გაქვს. ეს უფრო ტექნიკური და სწრაფი თამაშის საშუალებასაც გაძლევს. მსგავსი ტაქტიკით ბევრი გოლის გატანას შევძლებთ. მაურინიუს თავისი ფილოსოფია აქვს. იგი იმ ფეხბურთელებს ათამაშებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ და იმ დროისთვის საუკეთესო ფორმაში არიან“ — თქვა ადრიანომ.

პარალელურად, ბრიტანულ-იტალიური პრესა იუწყება, „ინტერმა“ სასურველი ნახევარმცველი იპოვნაო — სულეი ალი მუნტარი. ამბობენ, „ნერაძური“ განელში „პორტსმუთს“ 12 მილიონ გირვანქას გადაუხდისო. კონტრაქტი ხუთწლიანი ყოფილა. ექსუდინეზელი ხელფასი თავიდან დაახლოებით 2,3 მილიონი ევრო იქნება, მერე კი 3,4 მილიონამდე გაიზრდება.

**ძოძი ძანდელაძი**

# ისევ ტრეზეგე და ბარსა



**კატალონიური** „ბარსელონა“ დავიდ ტრეზეგეს დიდი ხანია, უტრიალებს და „კამპ ნოუს“ ბინადრებმა ამ ზაფხულსაც სცადეს ფრანგის გადაბირება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მიუხედავად ამისა, „ბარსა“ დანებებას არ აპირებს.

გავრცელებული ცნობით, კატალონიელები 25-27 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ და წესით, ამან „იუვენტუსი“ უნდა დააინტერესოს. მით უმეტეს, ამბობენ, ტრეზეგე თავადაც ფიქრობს წასვლაზეო.

საქმე ის არის, რომ „იუვეში“ ამაურის მისვლის შემდეგ, თავდასხმაში კონკურენცია ერთიორად გაიზარდა — ალესანდრო დელ პიეროსა და ვინჩენცო იაკვინტასაც ძირითადში თამაშის სურვილი აქვთ.

რამდენიმე დღის წინ „ბრონდბიუსთან“ გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში „ტრეზეგოლი“ ძირითად შემადგენლობაში არ იყო, და ეს სწყენია კიდეც. ის მატჩი „იუვემ“ 2:1 მოიგო, გოლები კი ამაურიმ და იაკვინტამ გაიტანეს.

შეგახსენებთ, რომ ტრეზეგე გასულ ზაფხულსაც ძალიან ახლოს გახლდათ „კამპ ნოუზე“ გადაბარგებასთან, მაგრამ ბოლო მომენტში „ბიანკონერის“ უფროსობასთან საერთო ენის გამონახვა შეძლო. ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად.

**ძოძი ძანდელაძი**

# ბრიგი გახანგრძლივდა



**მატეო ბრიგიმ,** რომელიც ბოლო წლებში ვერცერთ კლუბში ვერ დამკვიდრდა, „რომასთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. არადა, თითქოს მისი წასვლა გადაწყვეტილი ჩანდა — „გლადიატორების“ ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ მოხვდება და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ უნდაო.

„ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო. ერთმანეთის სურვილებს გაგებით მოვეკიდეთ და ცოტა ორივემ დავთმე, ამიტომაც შეთანხმების მიღწევა არ გაგვიჭირდა. ბრიგის ახალ კონტრაქტს 2012 წლის ზაფხულამდე აქვს ვადა“ — თქვა 27 წლის ფეხბურთელის აგენტმა ვანი პუცოლომ.

ამასობაში, „რომას“ ბანაკში დანიელე დე როსიზე დაიწყეს ნერვიულობა. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და დაწვრილებითი ტესტები უკეთ გამოაჩენს თუ რაოდენ სერიოზულად დაშავდა იგი.

ექიმები იმედოვნებენ, რომ თუ იგი რამდენიმე დღეში ვერ დაუბრუნდა მინდორს, 24 აგვისტოს იტალიის სუპერთასზე „ინტერის“ წინააღმდეგ მაინც ითამაშებს. იმ დროისთვის გუნდის კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის მომჯობინების შანსები კვლავ 50/50-ზეა. ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რათა იგი მწყობრში ჩადგეს და სუპერთასზე ითამაშოს.

**ძოძი ძანდელაძი**

## ფრიდელი ვილაში?

**როგორც** ჩანს, ბრედ ფრიდელი ახალ სეზონს ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ დაიწყებს. ტრანსფერის ღირებულება 2 მილიონ გირვანქას შეადგენს. რაც შეეხება ამერიკელი მეკარის ამჟამინდელ კლუბს, „ბლექბერნ როვერსის“ დამრიგებელი პოლ იანსი „ტოტენჰემიდან“ პოლ რობინსონის გადმობირებას შეეცდება.

## უიღბლო ბოსინგვა

**წარუმატებელი** აღმოჩნდა ჟოზე ბოსინგვას დებიუტი „ჩელსის“ შემადგენლობაში. პორტუგალიელმა ჩინური „გუნჯოუს“ წინააღმდეგ თავის პირველივე ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. როგორც „არისტოკრატთა“ სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, ბოსინგვას პრობლემა კუნთებთან დაკავშირებით შეექმნა.

## ბედნიერი ლუიშ ფაბიანო

**ესპანური** „სევილიის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ლუიშ ფაბიანომ განაცხადა, რომ ანდალუსიურ კლუბთან ახალ ხელშეკრულებას მომავალ კვირაში გააფორმებს.

„თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ორი შეთავაზება მაქვს, თუმცა არცერთი არ მაინტერესებს. კლუბის პრეზიდენტისთვის არასდროს მითქვამს, რომ გუნდის დატოვება მსურდა, მასთან მხოლოდ დარჩენაზე ვსაუბრობდი. ხელშეკრულებას კი მომავალ კვირას მოვაწერ ხელს“ — თქვა ლუის ფაბიანომ.

## ინგლისელი ბალეარებზე

**ინგლისელმა** ბიზნესმენმა პოლ დევიდსონმა წინასწარ შეთანხმებას მიაღწია კომპანია „Droc“-თან, რომელიც ესპანური „მალიორკას“ აქციათა პაკეტს ფლობს. ბრიტანელი მზადაა, აქციათა 96 პროცენტში 50 მილიონი გირვანქა გაიღოს. დევიდსონი ნავთობსადენი მილების მწარმოებელი კომპანიის მფლობელია და იმედი აქვს, რომ „მალიორკას“ შეძენა ესპანეთში თავის მიზნების განხორციელებაში დაეხმარება. რაც შეეხება კლუბის პრეზიდენტის თანამდებობას, მას კვლავ „Droc“-ის მფლობელი ვისენტე გრანდე შეინარჩუნებს.

## ესპანიოლში მატება

**ბარსელონის** „ესპანიოლმა“ თავის რიგებში არგენტინელი ნახევარმცველი რომან მარტინესი გადმოიყვანა. 25 წლის ფეხბურთელმა კატალონიელებთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ამ ზაფხულს ეს „ესპანიოლის“ მეოთხე შენაძენია კრისტიან ალვარესის, გრეგორიო ბერანჟეს და ხოსე კალიეხონის შემდეგ.

## აბატე გაიყვეს

**ნახევარმცველი** ინიაციო აბატე ერთდროულად ორი იტალიური კლუბის, „მილანისა“ და „ტორინოს“ საზიარო საკუთრება გახდა. ახალ სეზონს აბატე პიემონტელთა შემადგენლობაში დაიწყებს. დღეს კი 21 წლის ფეხბურთელი იტალიის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად პეკინში გასამგზავრებლად ემზადება.

## კეტერმოლი უიგანში

**„მიდლსბრო“** და „უიგანი“ ლი კეტერმოლის თაობაზე შეთანხმდნენ. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ახალ სეზონს „უიგანის“ შემადგენლობაში დაიწყებს. ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც კონტრაქტი ოფიციალურად გაფორმდება. რაც შეეხება თანხას, რივერსაიდელები კეტერმოლის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას მიიღებენ.

## რეიესმა ნიუკასლი უარყო

**როგორც** ჩანს, ხოსე ანტონიო რეიესს ინგლისში დაბრუნება არ სურს. ერთ დროს ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა, „ნიუკასლის“ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი ამჟამად ფრანგულ „მონაკოსთან“ მართავს მოლაპარაკებას. მონეგასკები მზად არიან, ესპანელის სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გაიღონ. ამასწინათ რეიესით იტალიური „რომაც“ გამოთქვამდა დაინტერესებას.

## კინმა კოლგენი აიყვანა

— „აჟენს“ ხომ მსოფლიოს თასზე ჩვენების კონსულტანტი ანრი ბრონკინი წვრთნის. შენს გადაწყვეტილებაზე ამ ფაქტორმაც იქონია გავლენა?

— რაღაც დოზით კი, მაგარამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. ბრონკანის გარდა, „აჟენს“ კიდევ ორი მწვრთნელი ჰყავს — დელო და ლინტი. მალე გაირკვევა, ვის ექნება გუნდში გადამწყვეტი სიტყვის უფლება. ისე კი, ცხადია, რეკომენდაცია ბრონკინმაც გამიწია. იგი კარგად მიცნობს.

— ალბათ, კლუბის უფროსობასაც დაელაპარაკებოდა და შენს ძირითად შემადგენლობაში თამაშს ურჩევდა...

— არც მასეა საქმე. როგორც ვიცი, უფროსობასთან ამაზე საუბარი არ ყოფილა და არც ჩემთან ულაპარაკია ვინმეს. აქ გარანტიას ვერავინ მოგცემს. ჩემს პოზიციაზე, ანუ გარემარბად, ხუთი კარგი მორაგბეა, ერთი ფიჯელია და ერთსაც კიდევ ელიან. ორი კი ფრანგია. საკმაოდ კარგი მორაგბეები არიან და დიდი კონკურენცია იქნება. ჯერჯერობით ადგილზე ვვარჯიშობთ და ,ძირითადად, ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვმუშაობთ. თვის ბოლოს შეკრებაზე წავალთ სადმე, ზღვისპირა ქალაქში და ტესტ-მატჩებიც გვექნება. იქ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია და ვის ეკუთვნის ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

— შენ სხვა პოზიციებზეც გითამაშია, მაგალითად, ბოლო მცველი და შუამარბი. ეს იციან?

— იციან და თვითონაც შემომთავაზეს შეიძლება, ხანდახან 15 ნომრად და შუამარბად გათამაშოთო. ვუპასუხე, სადაც გუნდს დავჭირდები, იქ ვითამაშებ-მეთქი. თანაც უნდა გავითვალისწინო, რომ დიდი კონკურენციაა და შანსი თუ მომეცემა, ჩემი შესაძლებლობები უნდა დავამტკიცო. რასაც ჯერჯერობით ვხედავ, შანსს აუცილებლად მომცემენ, დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული.

— ისე, გული ხომ არ გწყდება, რომ „მონ დე მარსანთან“ კონტრაქტი აღარ გააგრძელე და „აჟენში“ გადახვედი?

— არა, დარწმუნებული ვარ, „აჟენში“ უკეთესი სეზონი მექნება. გული ნაღდად არ მწყდება. თანაც კარგი პირობები მაქვს და სასაყვედურო არაფერია.

— „აჟენში“ შენს გარდა საქართველს ნაკრების მორკინალი ანტონ ფეიქრიშვილი თამაშობს, მისი საქმე როგორაა?

— ფეიქრიშვილი მართლაც საუკეთესოა „აჟენის“ პირველხაზელებში. მაგარ ჯანზეა და მე თუ მკითხავთ, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. ამას იმიმტომ არ ვამბობ, რომ ქართველი ვარ, მართლაც ასეა. მაგრამ ჯერ 19 წლისაა და ასაკის გამო, შეიძლება, ნელ-ნელა შეაჩვიონ ძირითად შემადგენლობას. ყველაფერი მაინც მწვრთნელებზეა დამოკიდებული.

— „აჟენი“ დიდი ტრადიციების კლუბია და ალბათ ელიტაში დასაბრუნებლად იბრძოლებს. საამისოდ შემადგენლობა გყავთ?

— გუნდი ჯერ კიდევ დაკომპლექტების სტადიაშია და რამდენიმე ლეგიონერს კიდევ ელიან. ახლა რა კონტინგენტიც გვყავს, მე პირადად მეეჭვება, პირველ ელიტაში დაწინაურება შევძლოთ, გამოცდილი მორაგბეები გვაკლია, რაც გაწელილი და გადამღლელი სეზონის წარმატებულად სათამაშოდ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, თუმც, როგორც ვთქვი, სელექცია კიდევ გრძელდება და იმედია, გამოცდილ მოთამაშეებს დავიმატებთ.

— ვინმე ქართველზე ხომ არ არის ლაპარაკი?

— არა, არ მგონია. ასე რომ იყოს, მეცოდინებოდა.

— ბოლოს საქათრველოს ნაკრებზეც გკითხავ. 2009-10 წლების ერთა თასი უკვე მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. პირველი ადგილისთვის ჩვენი მთავარი კონკურენტი, ალბთ, ისევ რუმინეთი იქნება, მაგრამ საგრძნობლად გაძლიერდნენ რუსეთი და პორტუგალია. ესპანეთსაც შეუძლია სენსაციის მოხდენა...

— მე მაინც მჯერა, მეტოქეებზე გაცილებით დიდი პროგრესი ჩვენ გვაქვს და პირველი ადგილის დაკავება რეალურად შეგვიძლია. მთავარია, არ მოვდუნდეთ და ყველა მეტოქეს ძირითადი შემადგენლობით და მაქსიმალურად კონცენტრირებული ვეთამაშოთ. თანაც, როგოცრ გავიგე, შემოდგომაზე ჩვენმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ავსტრალიური ტურნე გაგვიხერხა და იქაურ კლუბებთან სამ მატჩს ვგეგმავთ. ძალიან საჭირო ტურნე იქნება. ახალგაზრდები მეტ გამოცდილებას მიიღებენ და გუნდს კიდევ უფრო გაუშინაურდებიან.

**ბაჩო სვანიძე**

ქვარციტი QUARTZITE

### საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# ლოკომოტივი გაიქცა
## ყოჩებს ყოჩები წაუვიდათ

**ლოკომოტივი 27:12 ყოჩები**

**გუშინ** საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გადადებულ მატჩში თბილისის „ლოკომოტივმა“ იოლად დაამარცხა ჩემპიონი და თასის მფლობელი „ყოჩები“ და რვაგუნდა ქართულ ელიტარულ ლიგას ერთპიროვნულად წამოასკუპდა.

აქამდე „ლოკომოტივს“ და „ლელოს“ 12-12 ქულა ჰქონდათ, მაგრამ რკინიგზელებს ერთი მატჩით ნაკლები ჰქონდათ ნათამაშები, რაკი თბილისის შვიდკაცას გამო „ყოჩებმაც“ და „ლოკომოტივმაც“ ნაკრებში სამზე მეტი მორაგბე მიავლინეს და დებულებით ტურით გამოტოვეს.

შარშან „ყოჩებმა“ რკინიგზელებს ყველა საპლეიოფო მატჩი მოუგეს და თასის ფინალშიც დაამარცხეს. ახლა კი სხვა დროა, ახალ სეზონში „ლოკომოტივმა“ ბლომად მორაგბეები შეიმატა, „ყოჩებს“ კი მენაკრებე ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა და თემურ სოხაძე რუსეთში სარაგბოდ წაუვიდნენ, ხოლო უფროსი კაჭარავა, გიორგი, ჯერაც თბილისის შვიკაცაზე მიღებულ ტრავმას იშუშებს.

დღეს კიდევ ერთი გადადებული მატჩია, თბილისური კლუბები „აკადემია“ და „დინამო“ ითამაშებენ. ცხრილის მიხედვით ფავორიტი „აკადემიაა“, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში საპლეიოფო ოთხეულში პოზიციებს განიმტკიცებს, თუმც „დინამო“ გასავარდნ ზონაშია და იოლად არაფერს დათმობს.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 1217:107 | 14 |
| ლელო | 6 | 0 | 2169:161 | 12 |
| უნივერსიტეტი | 4 | 1 | 3142:154 | 9 |
| აკადემია | 4 | 0 | 3141:130 | 8 |
| ყოჩები | 4 | 0 | 3148:140 | 8 |
| აია | 3 | 1 | 4125:150 | 7 |
| დინამო | 1 | 0 | 6128:162 | 2 |
| არმაზი | 1 | 0 | 7132:198 | 2 |



ლოკომოტივი — ყოჩები
ყოველთვის მაგარი ჭიდილია

## საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

ჭიდაობა

# ნუგზარ სხირელი: ეს ბიჭები ორ ოლიმპიადას ეყოფა

## ქართველების ოქროები სხვებსაც გაუხარდათ

**მანამ საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებები ოლიმპიადის სამზადისში არიან და პეკინში გამგზავრებამდე დღეებს ითვლიან, ახალგაზრდული ნაკრების ბიჭები მედლებს აგროვებენ და თანაც როგორ... ახლახან სლოვაკეთში დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა ბლომად მედლები მოიგეს და ეს განსაკუთრებით ნუგზარ სხირელის განვრთნილებზე ითქმის.**

**„თავისუფლების" ბიჭებმა 3 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი აიღეს. მოჭიდავეთა მედლები საქართველოში აღარავის უკვირს, მაგრამ ეს შედეგი მაინც გამორჩეულად შეფასდა. ისიც ვთქვათ, რომ ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაშიც არავის დაუთმეს პირველ ადგილი და რუსეთის ძლიერი ნაკრებიც უკან მოიტოვეს. ქართველ ფალავნებს დასვენება დიდხანს არ მოუწევთ, რაკილა კვირას უკვე თურქეთისკენ აიღებენ გეზს, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება. თურქეთში გამგზავრებამდე ახალგაზრდული ნაკრების თავკაც ნუგზარ სხირელს ვესაუბრეთ, განვლილი ევროპის ჩემპიონატი შევაფასებინეთ და კარს მომდგარ მსოფლიოს პირველობაზეც ვკითხეთ.**



— ბიჭები კარგად მყავდა მომზადებული და შედეგსაც ველოდი. ვფიქრობდი, რომ სამეულში მოვხვდებოდით, მაგრამ თუ ამხელა წარმატებას მოვიპოვებდით, ნამდვილად არ მეგონა. რუსეთის ნაკრებს ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მათ ჩვენზე უფრო დიდი არჩევანი აქვთ. როგორც თქვეს, მე-2 ნაკრების მოჭიდავეები აჭიდავეს, მაგრამ არ მჯერა. მათაც 60 ქულა დააგროვეს, ოღონდ მედლების ხარისხით ვაჯობეთ.

— ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე რას იტყვით. ამ ბიჭმა წელს ევროპის ჩემპიონატი მეორედ მოიგო, ჯერ იუნიორებში ახლა ახალგაზრდებში...

— მაგარი ბიჭია. საქართველოს პირველობაზე 50 კგ-ში გამოვიდა და ჩემპიონი გახდა. ჭაბუკებში 54 კგ-ში ვაჭიდავეთ ევროპის ჩემპიონატზე და აქ უკვე 50-ში ისე გავაკეთე, რომ წონის კლება ორჯერ არ მოსწეოდა და ამან გაამართლა. კვიცი გვარზე ხტის, გენეტიკურად მოსდევს ჭიდაობის ნიჭი და კიდევ ბევრს მიაღწევს.

— ისეთი თუ იყო ვინმე, შედეგს რომ ელოდით და არ გაგიმართლათ?

— გიორგი ედიშერაშვილისგან (55 კგ) ოქროს მედალს ველოდი. ყველაზე მეტად მისი მეიმედებოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაინც მგონია, რომ წონის გამო მოხდა. საერთაშორისო ტურნირებზე ორი კილოს განსხვავების უფლებას აძლევენ სპორტსმენებს... იგი სწორად ვერ იკვებებოდა, ჩვენც არ დაგვიჯერა და შედეგიც გამოჩნდა. ამის გამო ვუსაყვედურეთ, არადა, გამოუცდელი ბიჭი არაა. იმედი მაქვს, სამომავლოდ გაითვალისწინებს ჩვენ რჩევებს.

— როგორც ვიცით, მსაჯების მხრიდანაც არ ყოფილა არანაირი პრობლემა...

— ასეთი კარგი მსაჯობა ქართველებისთვის ბოლოს როდის იყო, ვერც ვიხსენებ. თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო დეტალებს, მთლიანობაში ყველაფერი ობიექტურად წარიმართა. პრობლემა რუსებს ჰქონდათ და მათ და თურქეთის დელეგაციებმა იკამათეს, რადგან „ფილაში" თურქს სერიოზული ადგილი აქვს და მსაჯებს ბევრ რამეს კარნახობს თურქეთის სასარგებლოდ. ამის გამო იკამათეს...

— საერთოდ, როგორი შეფასება მიეცა საქართველს ნაკრების გამოსვლას?

— ყველანი გვილოცავდნენ და გვაქებდნენ. მართლაც კარგად გამოვედით. კი გვიცნობენ და ჩვენი მედლები მათთვის გასაკვირი არაა, მაგრამ ეს წარმატება მაინც გამორჩეული იყო. ერთ მაგალითს მოვიყვან: 84 კგ-ში თორნიკე სვანიძემ გაიმარჯვა, მანამდე კი ზედიზედ ორი ფინალი თურქებმა მოიგეს. შეხვედრა ისე მიდიოდა, რომ აქაც თურქი იგებდა, თუმც 20 წამით ადრე სვანიძემ ლამაზი გდებით სუფთაზე წააქცია მეტოქე. დარბაზი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, ყველას ძალიან გაუხარდა, რომ ქართველმა მოიგო...

— მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაც მალევე გიწევთ. გუნდში ცვლილებები თუ იქნება?

— დავით ბერძენიშვილი წავა 55 კგ-ში და ბექა ჭელიძე — 84 კგ-ში. სხვათა შორის, აქ საინტერესო ფაქტი მოხდა. 84 კგ-ში, როგორც იცით, თორნიკე სვანიძემ მოიგო ევროპის ჩემპიონატი, მაგრამ მას ჭელიძე შეცვლის და ეს თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. ორივე კარგი ბიჭია და თან მეგობრები არიან. მოილაპარაკეს, რომ ერთი ევროპას იჭიდავებდა, მეორე მსოფლიოს ჩემპიონატს და მწვრთნელებსაც არაფერი გვქონდა საწინააღმდეგო, რადგან ორივე ძლიერი მოჭიდავეა. სხვა მხრივ, ვატყობ, რომ ბიჭები ძალიან გადაღლილები არიან. ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის რთულია ასეთ მცირე დროში ორი დიდი ტურნირის ჭიდაობა. იგივე რუსეთისთვის პრობლემა არ არის, სულ განსხვავებულ შემადგენლობას წამოიყვანს თუ უნდა.

ახლა ისე იქნება, რომ ჩვენ მიმართ განსაკუთრებულად მონდომებით იჭიდავებენ, მაგრამ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ მედლებისთვის.

— ამ ბიჭების შემხედვარე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მთავარ ნაკრებს სრულფასოვანი შემცვლელები ჰყავს?

— კი, ძალიან კარგი თაობა მოდის. უნდა ითქვას, რომ ეს ბიჭები უკვე ორ ოლიმპიადას ეყოფიან.

**ლექსო მაისურაძე**

სუმო

# იმპერატორი მონღოლმა ჩაიხუტა

## ქართველები ისევ წყვილად აგებენ




**იაპონიის** ქალაქ ნაგოიაში მიმდინარე სუმოისტთა ტურნირზე ჩემპიონი ნაადრევად გამოვლინდა: „იმპერატორის თასი" მონღოლმა იოკოძუნა ჰაკუხომ მორიგი გამარჯვების შემდეგ ჩაიხუტა.

ჩვენებურმა ლევან ცაგურიამ უარყოფითი ბალანსი გაიფორმა, რადგან უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში დასავლეთის მე-10 მაეგაშირას სახელით გამომსვლელმა რიკიშიმ მე-15 მაეგაშირა კაკიძოესთან ოშიდაშით წააგო და 5 გამარჯვება და 8 მარცხი დააგროვა.

„შავი ზღვა" დარჩენილი 2 ბრძოლის მოსაგებად უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ წოდებაში მცირედით დაქვეითდეს.

მეორე ქართველი ლევან გორგოძეც დაგვიმარცხეს. დასავლეთის მე-14 მაეგაშირას წოდების პატრონმა რუს როჰოსთან იორიკირით წააგო და ბალანსად 7 მოგება და 6 მარცხი დაიბევა. ახლა მას დადებითი ბალანსისთვის დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის.

შაბათს კოკაის მეტოქე მე-9 მაეგაშირა ივაკიამა იქნება. ცაგურია კი მე-6 მაეგაშირა ტოკიტენკეს დაუდგება.

**ლექსო მაისურაძე**

ძიუდო



# თეა დონღუზაშვილი რუსეთის კაპიტანია

**ქართველი** ძიუდოისტი თეა დონღუზაშვილი, ვინც აგერ უკვე რამდენი წელია, რუსეთის სახელით ჭიდაობს და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა, ჩინეთში რუსეთის ქალთა ნაკრებს უკაპიტნებს.

რუსები პეკინში ექვს ქალ ძიუდოისტს წაიყვანენ. თეა +78 კგ-ში იჭიდავებს. მანამდე კი დონღუზაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: მაქსიმალურად ვიტვირთები და საკმაოდ თავდაჯერებული ვარ, იმაზე მეტად, ვიდრე ათენში ვიყავი, თან დიდი გამოცდილებაც დავაგროვე. ჩემს ფსიქოლოგიურ განწყობაზე კი ტაძარში სიარული და ლოცვა მოქმედებს. პეტერბურგში ქართულ ეკლესიაში დავდივარ და მოძღვარსაც ვესაუბრები.

**ლექსო მაისურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადალის სერია ჰარდზეც გრძელდება



**კაცები**

მასტერსი. ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 615 000 დოლარი

**მესამე წრე**

**მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:4 4:6 6:4; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:2 7:6; **ჯეიმს ბლეიკი** (7, აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 4:6 6:1 6:4; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 4:6 6:4 6:4; **რიშარ გასკე** (10, საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 6:3 6:3; **ენდი მიურეი** (8, ბრიტანეთი) — სტანისლას ვავრინკა (9, შვეიცარია) 6:2 0:6 6:4

**ქალები**

ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

**მესამე წრე**

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 6:3 6:2; **სიბილ ბამერი** (14, ავსტრია) — ანა ჩაკვეტაძე (3, რუსეთი) 6:4 5:7 6:2; **დინარა საფინა** (4, რუსეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 7:6 0:6 7:6; **ნადია პეტროვა** (9, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (5, რუსეთი) 6:4 7:6; **ვიქტორია აზარენკა** (8, ბელარუსი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:4 7:6; **ფლავია პენეტა** (10, იტალია) — აი სუგიამა (იაპონია) 7:6 6:3; **ჟენგ იუანი** (ჩინეთი) — მელანი საუტი (ბრიტანეთი) 6:2 6:3; **ბეთანი მატეკი** (აშშ) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 7:5 6:2

**ქალები**

პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

**მეორე წრე**

**მარია კირილენკო** (1, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:1 6:2; **ჯული ჯორჯესი** (გერმანია) — კატარინა სრებოტნიკი (2, სლოვენია) 6:4 6:2; **სარა ერანი** (8, იტალია) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:2 6:4; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:3 5:7 7:6

რაფაელ ნადალი შეუმცდარად მიილტვის რეიტინგის პირველი საფეხურისკენ. საამისოდ ესპანელს ტორონტოში გაჩემპიონება ესაჭიროება და რაფა ამისკენ გიჟურად მიჰქრის. მალიორკელი თავის სადებიუტო შეხვედრასთან შედარებით აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, რადგანაც იგორ ანდრეევი ძალიან დამაჯერებლად მიჩოგნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და სტაბილური ნადალი საკუთარ მოწოდებზე იყო — რუსს კინკილა ბრეიკ პოინტიც კი არ მისცა და თავის ჩამოწოდებულზე გათამაშებათა 81 პროცენტი მოიგო.

რაფას ერთადერთი, მეორე სეტში გაუჭირდასავით, ვინაიდან კარგა ხანს ფეხი ითრია, სანამ გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებდა მეტოქეს — საბოლოოდ ყველაფერი ტაობრეიკამდე მივიდა, სადაც ესპანელი მართლაც ერთი თავით მაღლა იდგა და.. ნადალი მეოთხედფინალშია. ესპანელის მოგებათა სერიამ კი უკვე 26 მატჩს უწია. ბოლოს რაფამ რომის მასტერსის მეორე წრეში წააგო თანამემამულე ხუან-კარლოს ფერეროსთან.

კიდევ უფრო იოლად იხეირა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რომელიც კანადაში ტიტულის დასაცავად გახლავთ ჩაბრძანებული. წესით და რიგით, სწორედ ეს სერბი უნდა ექცეს მთავარ დაბრკოლებად ნადალს — თუ თავიანთი მეოთხედფინალები წარმატებით ჩაამთავრეს, ეს ორი სუპერ-მეჩოგნე ერთმანეთს ნახევარფინალში დაეტაკება.

გუშინ კი ჯოკოვიჩმა წყნარად გადაურბინა რობინ სოდერლინგს — ორივე სეტში თითოჯერ დააბრეიკა და ეს უპირატესობა ორივეჯერ იოლად გამოიყენა.

„იმდენი ძალა დავხარჯე, რამდენიც საჭირო იყო. ამ სიცხეში ბევრი სირბილი და ყველა ქულას გამოკიდება უაზრობა იქნებოდა" — მოკლედ მოჭრა ნამატჩევს ჯოკოვიჩმა.

ამ ორის იქით კი გუშინდელი დღე მაგარი უილბლო გამოდგა ფავორიტებისთვის. როჯერ ფედერერის წაგების ფონზე სხვა ნებისმიერის მარცხი აშკარად უფერულდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

მაგალითად, არავინ ელოდა ენდი როდიკის ყოვლად უხიაგ თამაშს ხორვატ თინეიჯერ მარინ ჩილიჩთან. თუმც ამერიკელმა ბალკანელს თავისუფალი სივრცე მისცა, რაც ჩილიჩმა მშვენივრად გამოიყენა და კარიერაში მეხუთე გამარჯვება მოიპოვა ტოპ-10-ეულის წარმომადგენელთან. ისე, ეს ხორვატი უკვე მაგრად უთავისდება ბობოლებთან ტოლსწოროდ თამაშს და ნელ-ნელა ადგილს იმკვიდრებს ელიტაში — წლეულს ორ სლემტურნირზე, ავსტრალიასა და უიმბლდონზე, მეოთხე წრეში გახლდათ გასული, რაც არცთუ ურიგო მიღწევაა.

როდიკი კი ყოველწლიურად თმობს პოზიციებს და სულ უფრო ნაკლებ ხიფათს წარმოადგენს მეტოქეთათვის. აღარც მისი ყუმბარმტყორცნის ეშინია ვინმეს, რადგანაც სხვა ყველა სათამაშო კომპონენტში აშკარად მოიკოჭლებს — აქამდე ფორჰენდი მაინც უმუშავებდა, მაგრამ ახლა ამ ტექნიკურ ელემენტსაც ველარ ასრულებს ხეირიანად.

ჩილიჩი კი მეოთხედფინლაში ფედერერის გამამწარებელ ჟილ სიმონს დაეტაკება. ახალგაზრდა ფრანგს შვეიცარიელის დამარცხებით გამოწვეული ეიფორია დიდ ხანს არ გაჰყოლია, დროულად შეძლო გონს მოსვლა და ხოსე აკასუსოსთან შეხვედრას პროფესიონალურად მიუდგა — შედეგად 6:3 6:4 და მეოთხედფინალის საგზური.

კიდევ ერთ სენსაციას ნიკლას კიფერმა უავტორა, რომელიც კანადაში რისხვად ექცა რუსებს. გერმანელმა ჯერ იყო და სლავთა მეორე ნომერი მიხაილ იუჟნი მიჩოგნა, აგერ გუშინ კი რუსთა საუკეთესო ჩოგბურთელი ნიკოლაი დავიდენკოც არ დაინდო და ტორონტოდან ნაადრევად დაითხოვა. თავიდან გერმანელმა არცთუ კარგად დაიწყო და მეტოქეს დაწიანურების საშუალებაც მისცა, მაგრამ ნელ-ნელა გამოასწორა მდგომარეობა და მომდევნო ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:4 6:4 — მოიგო. ახლა კიფერს რანდევუ ელის ჯეიმს ბელიკთან, რომელმაც ასევე რუსს, დმიტრი ტურსუნოვს გამოუყვანა წირვა, თუმც საამისოდ სამი სეტი კი დასჭირდა.

მაინდამაინც პროგნოზირებადი არც რიშარ გასკე მიერ დავიდ ფერერის დამარცხება იყო, უპირველესად კი იმიტომ, რომ ფრანგი ყოველთვის ძალიან ცუდად თამაშობს ხოლმე ამ ესპანელთან და აქამდე 4 ურთიერთშეხვედრიდან ყველაში დამარცხებულიყო. თუმც გუშინ გასკეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ნავსის გატეხვა და ამიტომაც ესპანელი სრულიად უშანსოდ დატოვა, რადგანაც მხოლოდ ექვსი გეიმი დაუთმო. თუმც მეოთხეფინალში გალს კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის — აქ მას ნადალთან მოუწევს პირისპირ დადგომა.

საუკეთესო რვას შორის ბოლო საგზური კიდევ ერთმა ახალგაზრა მეჩოგნემ, ბრიტანელთა მთავარმა იმედმა ენდი მიურეიმ მოიპოვა, რომელიც სტანისლას ვავრინკას მოერია. ენდის ახლა ჯოკოვიჩთან აქვს „პაემანი" დანიშნული.

ლოს ანჯლესის ქალთა ტურნირზე კი მხოლოდ ერთი მოულოდნელობა დაფიქსირდა — სიბილ ბამერმა მესამე ნომრად განთესილი ანა ჩაკვეტაძე დააჩოქა. სამაგიეროდ, სხვა ფავორიტებმა უკლებლივ გაიკვალეს გზა შემდეგ წრეში. მართალია, წააგო მაღალ ნომრად განთესილმა ვერა ზვონარიოვა, მაგრამ მას ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა თანამემამულე ნადია პეტროვას სახით და ამიტომ ამისთვის სენაციის დარქმევა ფრიად გაგვიჭირდება.

**ძახა ლომაშვილი**





# მონტას ექვსიანები

**ბაირონ დევისის** „კლიპერსში" გაქცევის შემდეგ „გოლდენ სტეიტის" შეფებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა საკუთარი თავისუფალი აგენტი, გუნდის მეორე ლიდერი მონტა ელისი მაინც შეენარჩუნებინათ. გუშინწინ ელისმა „მეომრებთან" გააფორმა ახალი კონტრაქტი, რომელიც, ასე ვთქვათ, ცოტა სახამუშო ციფრებით გამოიხატება — ხელშეკრულება ექვსწლიანია და თითო სეზონში 11 მილიონს ითვალისწინებს, სულ რამდენი გამოდის, თქვენ დაითვალეთ, თუ ბნელი ძალების არ გეშინიათ.

მონტა ელისი 2005 წლის დრაფტის მეორე წრეში იპოვა „გოლდენ სტეიტის" ძველმა ვარსკვლავმა, აწ კი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა კრის მულინმა. ამ ჯეელმა ორიოდ წელიწადში ხალხს თავი გააცნო, როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარე უკანახაზელმა. 2006-07 წლების, ანუ თავის მეორე სეზონში ის რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ დაასახელეს. მაშინ მან სათადარიგოთა სკამიდან ყოველ მატჩში საშუალოდ 13-14 ქულა მიაშველა გუნდის ლიდერებს ბაირონ დევისს, სტივ ჯეკსონს, ჯეისონ რიჩარდსსა და ალ ჰარინგტონს და პლეი ოფში გასლაშიც დაეხმარა. ბოლო სეზონში კი ელისი მყარად ჩაჯდა სასტარტო ხუთეულში დევისის გვერდით და მატჩში, საშუალოდ, 20,2 ქულა, 5,0 მოხსნა, 3,4 პასი და 1,5 ჩაჭრა აკეთა.

**ვანო ძოზიაშვილი**



## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი




**მე-19 ეტაპი. როანი — მონლაზონი. 166 კმ**

| | |
|---|---|
| 1. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, „კოფიდისი") | 3სთ 37წთ 09წმ |
| 2. ჟერემი როა (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ") | იგივე დრო |
| 3. გერალდ ციოლეკი (გერმანია, „კოლუმბია") | +1წთ 13წმ |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | +1.13 |
| 5. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | +1.13 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | 82სთ 54წთ 36წმ |
| 2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1წთ 24წმ |
| 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, „გეროლშტაინერი") | +1.33 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +1.34 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +2.39 |

ქართული ბიბლიოთეკა

# ქალი, რომელიც დარბის

## მერლინ ოტი ყველას წინააღმდეგ

*სლოვენიელმა მორბენალმა მერლინ ოტიმ ვერ ჩააბარა ოლიმპიური ნორმატივი და პეკინში გამგზავრების უკანასკნელი შანსი დაკარგა. „არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების, კერძოდ პირქარის გამო ოტის სულ რალაც 0,28 წამი დააკლდა ოლიმპიური კვალიფიკაციის გასავლელად" — სლოვენიურ მარიბორში გამართული ამ გარბენის დამსწრე მოხელემ პრესას ლამის ტრაგედიასავით ამცნო. მერე რა მოხდაო — ალბათ იკითხავს ახალგაზრდა მკითხველი — ვილაც მორბენალმა საკმარისად სწრაფად ვერ ირბინა და ვერ მოხვდა ოლიმპიადაზე, ასეთები ხომ ასობით და ათასობით არიანო... მაგრამ ისეთები, როგორიც მერლინ ოტია, ათასობით კი არა, საერთოდ არ არსებობენ. ეს მორბენალი ქალი ნამდვილად იმსახურებს გვარიან წერილს, რომელსაც თქვენის ნებართვით, იმით დავიწყებთ, რამაც ოტის კარიერა დაასრულებინა.*

### მორბენალი

მერლინ ოტი 48 წლისაა და დარბის. დილაობით პარკში კი არ დაცუხცუხებს წონამომატებული, ასაკშეპარული ქალბატონივით, არამედ მართლა დარბის. აქტიური სპორტსმენია და 100 და 200 მეტრზე შვილისტოლა და უფრო პატარა გოგონებს ეჯიბრება, ეგაა, რომ ამ სირბილ-შეჯიბრში შვილის გაჩენა „ვერ მოახერხა". სპორტის ძველ გულშემატკივრებს სმენიათ მისი სახელი, მძლეოსნობაში ჩახედულებმა კი ისიც კარგად იციან, რომ მერლინ ოტი უნიკალური სპორტსმენია. 1980 წელს მოსკოვიდან რომ დაიწყო, არცერთი ოლიმპიადა არ გამოუტოვებია — ლოს ანჯელესში, სეულში, ბარსელონაში, ატლანტაში, სიდნეიში, ათენში... ყველგან დარბოდა და ამ აგვისტოში პეკინშიც ირბენდა, საკვალიფიკაციო ტურნირში მუხანათ პირქარს მისთვის 0,28 წამი რომ არ ჩამოეჭრა. განა დასანანი არაა?

არ არსებობს შვიდი ოლიმპიადის მნახველი ქალი გარდა მერლინ ოტისა. მერე რა, რომ მას არცერთზე ოქრო არ მოუგია? ტომ ჰენქსის პერსონაჟ ფორესტ გამპივით სირბილში გაატარა ცხოვრება, მაგრამ გამპივით გულუბრყვილო მოყვარული კი არ გახლავთ, აგრესიული პროფესიონალია, გამარჯვება სწყურია.

### შორს, იამაიკაში

გვარზეც ეტყობა, რომ წარმოშობით სლოვენიელი არაა. 1960 წლის 10 მაისს იამაიკაში დაიბადა და 40 წლამდე გულზე ამ ქვეყნის დროშამიკრული დარბოდა. გულახდილად რომ ითქვას, მერლინ ოტიმდე ხალხი ვერც არჩევდა კარიბის ზღვაში ჩუმად მოტივტივე ამ კუნძულ-სახელმწიფოს დროშის ფერებს. იამაიკელებს მანამდე თითქმის არაფერი მოეგოთ. მაგრამ 1976 წლის ზაფხულის ერთ ძალიან ცხელ დღეს ერთმა თექვსმეტი წლის გოგომ მძლეოსნობა შეიყვარა და მალე ამ ღარიბი ქვეყნის სპორტსმენებს დიდი სარბიელისკენ გზა გაუჭრა.

იამაიკურ დაბა ჰანოვერიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით გრილ მონრეალში ოლიმპიადა ხურდა და ადგილობრივი რადიოწამყვანი აღტაცებით ამცნობდა სიცხისგან გათანგულ იამაიკელებს — ჩვენი თანამემამულე დონალდ ქვორი 100 მეტრზე მორბენალთა ფინალში მოხვდაო. მერლინ ოტის ეს ცნობა ზეციურ მოწოდებასავით ჩაესმა — ადგა, ქუჩაში გამოვიდა, გაიქცა და მას მერე არც შეუწყვეტია სირბილი.

სამი წლის შემდეგ ოტი უკვე შტატებში, ნებრასკის უნივერსიტეტში სწავლობდა და აქტიურად ვარჯიშობდა, 1980 წელს კი მოსკოვში 200 მეტრზე სირბილში მესამე ადგილზე გავიდა და 20 წლისამ რომ იგრძნო მკერდზე ოლიმპიური მედლის მსუბუქი სიმძიმე, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში სურდა ერთადერთი რამის კეთება — რაც შეიძლება სწრაფად სირბილი.

### ყვითელი ოცნება

მაგრამ მარტო სურვილით და მონდომებით მსოფლიოს ვერ გაასწრებ. თანამედროვე სპორტში ამას ისეთი ოხერი რამეებიც სჭირდება, როგორებიცაა ინდუსტრია და ინფრასტრუქტურა, ანუ ის, რაც ოტისდროინდელ იამაიკაში პრაქტიკულად არ არსებობდა. სამშობლოში ის ხელის გულზე სატარებელი გმირი იყო. მასაც ყოველ ორ წელიწადში — ოლიმპიადებიდან თუ მსოფლიოს ჩემპიონატებიდან შინ თითქმის ყოველთვის ჩაჰქონდა ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლები.

მაგრამ ჩემპიონობა იგვიანებდა. ოქროზე შეტევის ამდენი წარუმატებელი ცდის შემდეგ ოტის ასეთი მეტსახელიც მოუგონეს — „სილვერ ქუინი" — „ვერცხლის დედოფალი" ან სინონიმში „ყინულის დედოფალი".

გასაკვირია, მაგრამ 30 წელს რომ გადაცდა, მერლინ ოტი მაშინ შევიდა საუკეთესო ფორმაში. მისი თანატოლები კარიერას ასრულებდნენ, ის კი მაინც დარბოდა და დარბოდა, უფრო სწრაფადაც კი, ვიდრე ყმაწვილქალობაში. მონდომება და შინაგანი სწრაფვა არასოდეს აკლდა და არავინ იცის, როგორ ახერხებდა ამ ამოუშრეტელი მარაგის ყოველწლიურად შევსებას. 1991 წლისთვის მას ახალგაზრდა თანამემამულეები წამოესწრნენ და ოტიმ ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მათთან ერთად მოიგო 4X100 მეტრზე ესტაფეტა, რაც მისთვის პირველი მსოფლიო ოქრო იყო. 1993 და 1995 წლებში შტუტგარტსა და გეტებორგში მან პირადად კიდევ ორი ოქრო მოიპოვა 200-მეტრიან გარბენებში, 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე კი ამერიკელ გეილ დივერსთან შეჯებრში სულ რალაც 0,01 წამი დააკლდა ოლიმპიურ ოქრომდე. მაშინ ის უკვე 36 წლისა გახლდათ.

დრო გადიოდა, მაგრამ ოტი არ გადიოდა სარბენი ბილიკიდან. „მე უფრო სწრაფად დავრბივარ, ვიდრე სხვები" — ჯიუტად უმეორებდა ხალხსაც და მით უმეტეს საკუთარ თავსაც. 1997 წელს ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე ბრინჯაოს მოპოვების შემდეგ მისი ტემპი დაეცა და უკვე ყველამ იცოდა, რომ ოტიმ წააგო მთავარი ბრძოლა — ის ველარასოდეს ირბენდა ოლიმპიური ოქროსთვის. წავიდა მისი დრო, მაგრამ თავად მორბენალმა არ ისურვა სპორტულ სიბერესთან შეგუება. ამას ისიც დაერთო, რომ შვეიცარიაში ერთ არაფრისმომცემ ტურნირზე დოპინგტესტმა დადებითი პასუხი ამოაგდო. მას სისხლში აღმოაჩნდა ნანდროლონი, აკრძალული ნივთიერება, რომელმაც რამდენიმე წლის წინ თვით მარადონას წაუმურდლა ლამაზი კარიერის დაისი. მაგრამ ოტი არ დანებდა, მას 1999 წლის ვალენსიის მსოფლიო პირველობის გაცდენა მოუხდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და დაამტკიცა, რომ არაკეთილსინდისიერებაში მისი დადანაშაულება იყო „საშინელი შეცდომა".

### განხეთქილება

2000 წელს ოტის თავზე კიდევ უფრო ავად მოიქუფრა მტრული ღრუბელი. იამაიკის ჩემპიონატში 100 მეტრზე ის მეოთხე იყო, ხოლო ყვეყნის სახელით ერთ კონკრეტულ დისციპლინაში მხოლოდ სამ მორბენალს ჰქონდა ოლიმპიურ ბილიკზე გასვლის უფლება, ოტის კი 4X100 მეტრ ესტაფეტით, ანუ ეპიზოდური როლით დაკმაყოფილება მოუწევდა. მაგრამ გაჯიუტებულმა ვეტერანმა დაჟინებით მოითხოვა, სამეულში მე ჩამსვითო და თავისი გაიტანა, პეტა-გეი დოუდის მაგივრად ჩასვეს. ის იძახდა — „შეიძლება 40 წლის ვარ, მაგრამ სირბილი ჯერ კიდევ სხვებზე სწრაფად შემიძლია და „ვილაცეები" ვერ მაიძულებენ ამაზე უარის თქმას!"

ხალხი ჯერ აჩურჩულდა — ოტი ბოროტად იყენებს წარსულის დამსახურებებსო, სულ მალე კი ჩურჩული ყვირილში, კონფლიქტსა და სკანდალში გადაიზარდა. იამაიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გრეგორი ჰაუტონმა ოტის ქცევა სახალხოდ შეაფასა როგორც „ბინძური ოლიმპიური თამაშები" და მერე ატყდა რაც ატყდა. საქმის გარჩევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ჩაერია და კუნძულელებს შეუთვალა, ან თქვენ თვითონ დაწყნარდით, ან იამაიკელებს საერთოდ არ გაგიშვებთ სიდნეიშიო.

გამოვიდა, რომ ოტიმ მაინც გაიტანა თავისი და ის მაინც დადგა სიდნეიში 100 მეტრის სტარტზე. სამშობლოში მისი სიყვარული მზეზე დაგდებული ძველი ქაღალდივით გახუნებულიყო და ძალიან ბევრი კმაყოფილი დარჩა, როცა ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლაში ოტის 0,01 წამით გაასწრო ახალგაზრდა იამაიკელმა ტაინა ლოურენსმა.

ოტის მაინც შეხვდა მედალი და ბედის ირონიით სწორედ მასთან ნაჩხუბარი გოგონების დახმარებით — იამაიკელ ქალთა ოთხეულმა ვერცხლი აიღო 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. ეს იყო ოტის მერვე მედალი მეექვსე ოლიმპიადაზე, რაც რეკორდი გახლავთ მძლეოსან ქალებში. სარეკორდოა 40 წლის ასაკში მედლის მოპოვებაც.



### წადი!..

სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ოტიმ განაცხადა, რომ ცხოვრებაში აღარ ირბენდა იამაიკის სახელით და საბოლოოდ გადაბარგდა პატარა ევროპულ სახელმწიფო სლოვენიაში, სადაც 1998 წლიდან ცხოვრობდა და ვარჯიშობდა. იამაიკაში კი აღარც ჩადის და ახლობლები სლოვენიაში აკითხავენ. 2002 წელს მან ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და მისი დროშით წარდგა 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე, სადაც ის უკვე 44 წლისა გახლდათ და კიდევ ერთი რეკორდი ჩაიწერა, ოლიმპიადების ისტორიაში გახდა ყველაზე ხანდაზმული მორბენალი. უკანასკნელ ოლიმპიადაზე სირბილი ოტიმ ნახევარფინალში დაასრულა ანუ გავიდა 16 საუკეთესოში.

ის მთელი მონდომებით ვარჯიშობდა და არანაკლებ სურდა პეკინში მოხვედრა, მაგრამ წინ ქარი შეხვდა და ყურში უჩურჩულა ის, რასაც თანამემამულეები წლების წინ ჩაჰყვიროდნენ — „მერლინ, წასვლის დროა".

ვინ იცის, იქნებ მას მაინც დაუჯეროს?

**ირაკლი ფირაშვილი**







ოქსანა კალაშნიკოვა


ეკა გორგოძე

# ბევრი ქალური ამბები

**კარგი** ამბავი მოვიდა ხარკოვიდან, სადაც ჩოგბურთელთა 25 ათას დოლარიან ტურნირზე წყვილებში იჩაუქა ჩვენებურმა ოქსანა კალაშნიკოვამ, ვისაც მხარს უმაგრებდა რუმინელი მიჰაელა ბუზარნესკუ.

ოქსანამ და მიჰაელამ უკრაინელ დებს ლუდმილა და ნადია კიშენკოებს შავი დღე აყარეს, 6:3, 6:0 მოუგეს და ტურნირის ფინკალში გავიდნენ. იქ მათი მეტოქე ასევე მასპინძლების, ანტონიჩეგკოსა და ცურენკოს დუეტი იქნება, ვინც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან გააღწია.

ამასობაში, აშშ-ის ქალაქ ევანსვილში საერთაშორისო ტურნირზე სოფო მელიქიშვილმა პირველ გამარჯვებას გამოკრა ხელი. სოფომ საწყის წრეში ამერიკელ ემილი გელზერს 6:2, 6:3 მოუგო და მერვედფინალში სლოვაკ ზუზანა ზემენოვას დაუპირისპირდება. ისიც ვთქვათ, რომ სლოვაკმა ზუზანამ მანამდე ტურნირის პირველი ნომერი, ამერიკელი ელსონ რისკე დაიფრინა ტურნირიდან — 6:2, 3:6, 6:1. ევანსის ტურნირის საპრიზო ფონდი კი 10 ათასი დოლარია.

სხვებზეც ვთქვათ, ოღონდ თავიდანვე გეტყვით, რომ წაგებებზე მოგვიწევს საუბარი: მაროკოში მე-5 ნომრად განთესილმა სოფო ქვაცაბაიამ საწყის წრეში ბელგიელ სოფიო კორნეროტს 7:5 6:4 კი მოუგო, მაგრამ მერე თავად დამარცხდა მერვედფინალში მასპინძელ დამია ერადისთან 6:7 1:7 3:6. წყვილებში ქვაცაბაიასა და რუს ტიხოჩევას მე-3 ნომრად განთესილმა დუეტმა ბელგიელ მერგარეტისა და ნოუის ტანდემთან 4:6 6:4 1:0 (10:5) წააგო.

რუმინულ ჰუნედო — არაში კი მანანა შაფაქიძე დაგვიჩაგრეს. ჩვენებურმა, ვინც მე-5 ნომრად იყო განთესილი, ბულგარელ დაილა ჩაფაროვასთან 3:6 0:6 დათმო.

ავსტრალიაში კი იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე ეკატერინე გორგოძემ ჯერ ნორვეგიელ ემა ფლუს აჯობა იოლად 6:1 6:1, მერე კი თავად დამარცხდა ბულგარელ ელიცა კოსტოვასთან 6:4 6:7 6:7.

**ლექსო მაისურაძე**

თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები საპრიზო 15 000 დოლარი

# როშე ავტორიტეტებს დაერია

**ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე მიმდინარე „კოკა-კოლას“ ტურნირზე ოდენ ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი: ერთეულთა ფინალში იტალიელი, პირველ ნომრად განთესილი მატეო მარაი ფრანგ მე-7 ნომერს შარლ როშეს დაუპირისპირდება. მარაიმ ახლახან დასრულებული თბილისის ტურნირი მოიგო და კარგი შანსი აქვს „კოკა-კოლაც“ დაავგმოვნოს. ოღონდ საამისოდ ფრანგის ძლევა მოუწევს, ვინც ჯაბანი სულაც არ ჩანს, რაკიღა აქამდე ზედიზედ ორი რთული თამაში მოიგო და ტურნირის მე-2 და მე-3 ნომრები მიჩოგნა.

გუშინ როშემ ნახევარფინალში ლატვიელი დენის პავლოვსი 6:0 6:1 გაანადგურა. იტალიელი მარაის ლუკმა კი უკრაინელი მე-4 ნომრად განთესილი დენის მოლჩანოვი გახდა — 6:4, 6:7, 6:4.

იტალიელი ფინალს დაარხეინებული ითამაშებს, რადგან წაგების შემთხვევაში თავი სანუგეშოდ ნამდვილად ექნება. გუშინ, იტალიელმა წყვილების ფინალი ლატვიელ პავლოვსთან ერთად უკრაინელ ძმებს ალექსეენკოებს 6:7, 6:4, 10:8 მოუგო.

**ლექსო მაისურაძე**



# გეორ-გიამ სიძესთან წააგო

## ქულები და დოლარები პეკინამდე

**პლაჟის** ფრენბურთში, შვეიცარიულ გშტაადში მიმდინარე „დიდი სლემის“ ტურნირი ჩვენი კაცთა წყვილისთვის გეორ-გიასთვის გუშინ დასრულდა.

პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტებმა გუშინდლამდე ჯგუფში გერმანელებთან მატისიკთან და დოლინგერთან წააგეს, მერე კანადელები კოდუ და ლელიო დაამარცხეს, გუშინ კი თანამემამულეებთან პედროსთან და ჰარლისთან 40 წუთში 0:2 დამარცხდნენ, მაგრამ პლეი ოფში მაინც გავიდნენ. სხვათა შორის ჰარლი, ჩვენი ქალთა წყვილიდან, კრისტინას, იგივე საქას მეუღლეა.

„სიძესთან“ წაგების მიუხედავად, როგორც ვთქვით, გეორ-გიამ ბრძოლა განაგრძო, თუმც პლეი ოფის პირველივე წრეში გერმანელებთან რესინკთან და დიკერმანთან დამარცხდნენ და ბრძოლას გამოეთიშნენ.

შეგახსენებთ, რომ კაცების დარად აქამდე ქალებმაც იგივე გზა გაიარეს. საქა-რთველო ჯგუფში ერთი გამარჯვებით გავიდა პლეი ოფში და იქ პირველივე წრეში წააგო.

ასეა თუ ისე, პეკინის ოლიმპიადის ჩვენმა ლიცენზიატებმა შვეიცარიული „დიდი სლემის“ ტურნირი ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად კარგად გამოიყენეს, თანაც წყვილზე 160 სალიცენზიო ქულა და 5100 დოლარი მოიპოვეს.



იქით კვირას, გეორ-გია და საქა-რთველო ავსტრიაში ჩავლენ, სადაც პეკინამდე ბოლო „დიდ სლემზე“ ითამაშებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# წიგნი თვალისთვის და გონებისთვის

## ბერიშვილის საქმენი სამატიანონი

**ამ** ორი წლის წინ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ჩვენს სფეროში იქამდე არნახული მასშტაბის პროექტს შეასხა ხორცი, სპორტული ენციკლოპედია გამოსცა. ეს ენციკლოპედია ელგუჯა ბერიშვილის და მისი თანამოაზრეების ყველაზე შრომატევადი და მნიშვნელოვანი გამოცემა იყო და საგანგებოდ ამიტომაც გამოვარჩიეთ, თორემ მის ყველა ნაშრომს რა ჩამოთვლის. ამიტომაც არის, ელგუჯა ბერიშვილი არაერთხელ რომ მოგვიხსენიებია ქართული სპორტის მემატიანედ...

ჰოდა, ელგუჯა ბერიშვილის ახალი პროექტის პრეზენტაციაზე რომ მიგვიწვიეს, ცხადია, მოლოდინიც დიდი გვქონდა და, ცოდვა გამხელილი ჯობს, სიამაყესაც ვგრძნობდით: ამ ახალ წიგნში ტექსტების ნაწილი სარბიელელთა დაწერილია და სარბიელური ფოტოებიც არის გამოყენებული.

ახალი წიგნი კი გახლავთ „ქართული სპორტის ფოტოისტორია“ და თვალის ერთი გადახედვაც კმარა, რომ დარწმუნდე: სიტყვა „ისტორია“ სავსებით შეესაბამება წიგნის შინაარსს. აბა, სხვა რა სიტყვა უნდა ვიხმაროთ, როცა ამ წიგნში 1873 წელს გადაღებულ ფოტოსაც ნახავთ, რომელზეც ილია ჭავჭავაძე და ვასილ მაჩაბელი ჭადრაკს თამაშობენ და ერთი თვის წინ გადაღებულსაც...

ერთი სიტყვით, „ქართული სპორტის ფოტოისტორიაში“ ნახავთ უნიკალურ ფოტოებს და არა მხოლოდ მათ. ფოტოებს ახლავს ვრცელი ტექსტები და ცხრილებიც, რომლებიც საქართველოში ამა თუ იმ სახეობის განვითარების ისტორიას და ქართველ სპორტსმენთა მიღწევებს შეგვახსენებს ოლიმპიადებზე და მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე.

მოკლედ, ქართულ სპორტულ მატიანეს კიდევ ერთი ძალიან კარგი წიგნი შეემატა.

**გიორგი დარჯანია**


დავით ნამგალაური და ელგუჯა ბერიშვილი



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge